# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 იანვარი 2008 №019 (3243) ფასი 50 თეთრი


# ტიმ ლეინი დიდსა და ბევრს შორის

## ავსტრალიელის ქართული ცაიტ-ნოტები: მოდით. უნარი ვაქციოთ ჩვევად!

საქართველოს ნაკრების ახალდანიშნულმა ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა გუშინ პირველად ავარჯიშა „ლელოები" და გუნდი ახლოსაც გაიცნო. „საქართველოს ნაკრებს აშკარად დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ სამუშაო ბევრი გვაქვს" — ეს ტიმ ლეინმა ნავარჯიშევს გვითხრა. დრო კი არ ითმენს. 2 თებერვალს საქართველოს ნაკრები ერთა თასის მატჩში პორტუგალიას მასპინძლობს და გადახალისებულმა გუნდმა იქამდე შეთამაშება უნდა მოასწროს. იმედია, ტიმ ლეინის დებიუტი წარმატებული იქნება და ახალ სეზონს „ლელოები" გამარჯვებით დაიწყებენ.



საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბი: ტიმ ლეინი, ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე



## სამი დღე პორტუგალიამდე

# დავაჯეროთ მეგობრებს! ყაზახეთიდან საქართველო ძალიან ცოტა ჩანს

ზაფხულში იყო, ინტერტოტოზე „ზესტაფონი" ყაზახეთში რომ ჩავიდა „ტობოლთან" სათამაშოდ და იქაურებმა მატჩის პროგრამის ყდაზე საქართველოს უაფხაზეთო და უსამაჩაბლო რუკა დახატეს.

მაშინ „სარბიელმა" ხმაური ატეხა და საქართველომ პროგრამის შემდგენლებისგან ბოდიში მიიღო.

გუშინ კი ყაზახეთისავე სოლიდურ სპორტულ ვებგვერდზე ამოვიკითხეთ: თურქეთში შეკრებაზე მყოფმა „ალმათიმ" აფხაზური გუნდი „გაგრა" დაამარცხაო.

არ ყოფილა საშველი: სანამ ჩვენს ტერიტორიაზე იურისდიქციას არ აღვადგენთ, მეგობარ ქვეყანაში ვერ იჯერებენ, რომ აფხაზეთი საქართველოა. ჰოდა...



## ოლიმპის უკრაინა გამოირიცხა

რუსთავს მხოლოდ აკაუასაგა შეემატა

3



## ირაკლი ცირეკიძე: ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდი

13

200-ზე მეტი მატჩი „მილანში“ და 13 გოლი — გატანილი ბურთები არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ „როსონერის“ დარ კლუბში ამდენ თამაშს რომ ჩაატარებ, მგონი, ლაპარაკი ზედმეტია. 2001 წელს კახა კალაძის ტრანსფერს უკრაინელი მიმომხილველები ერთ-ერთ გამორჩეულად თვლიან და ასეცაა — ანდრეი შევჩენკოს თუ არ ჩავთვლით, კახას მსგავსი ხმაურიანი ტრანსფერი უკრაინის ჩემპიონატიდან აღარ მომხდარა.
საქართველოს ნაკრების კაპიტანთან ერთ-ერთმა უკრაინულმა ვებგვერდმა ვრცელი ინტერვიუ გააკეთა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ...



# იტალიურს უკვე იქით ვასწავლი

## კახა კალაძეს პრეზიდენტობა მობეზრდა

— „მილანში“ გადასვლის პირველ დღეებზე გკითხავთ. გქონდათ შიში, ვაითუ ძირითადში ვერ ვითამაშოო?

— რა თქმა უნდა. „მილანის“ ძირითადში ადგილის დამკვიდრება იოლი საქმე როდია. ბევრი შრომა მომიხდა, რათა პარტნიორებისგან პატივისცემა და მწვრთნელისგან ნდობა მიმეღო. ისიც დამეხმარა, რომ მსგავს სიტუაციაში ადრეც ვყოფილვარ, როცა თბილისიდან კიევის „დინამოში“ გადავედი.

— ალბათ თანაგუნდელები თავიდან ზემოდან გიყურებდნენ...

— არა, „მილანში“ თბილად მიმიღეს. ალესანდრო კოსტაკურტა და პაოლო მალდინი სულ მამხნევებდნენ.

— რამდენად დაგეხმარათ ადაპტაციაში რევაზ ჭოხონელიძე?

— მისი ამაგი შეუფასებელია. ის არა მარტო ჩემს ტრანსფერზე მუშაობდა, არამედ ადაპტაციაშიც მაგრად შემეშველა, განსაკუთრებით კი იტალიური ენის შესწავლაში. მაშინ ორი სიტყვის გადაბმაც არ შემეძლო. ანდრეი შევჩენკოც მეხმარებოდა. ახლა კი იტალიურში იქით შემიძლია გაკვეთილების ჩატარება.

— „მილანში“ ოთხ მწვრთნელთან გიმუშავიათ. შეგიძლიათ, თითოეული მათგანი დაახასიათოთ?

— ჩემი მისვლისას გუნდს ალბერტო ძაკერონი წვრთნიდა, მაგრამ ოთხ თვეში ისე წავიდა, დიდ შედეგს ვერ მიაღწია. შემდეგ იყო ჩეზარე მალდინი, თუმც დიდხანს არც ის გაჩერებულა „მილანში“, ისევე, როგორც თურქი ფათიჰ თერიმი. სამივე მწვრთნელმა თავისი იდეები მოიტანა გუნდში, მაგრამ „მილანს“ სტაბილურობა სჭირდებოდა, რაც კარლო ანჩელოტის ხელში ელირსა.

— ძნელად წარმოსადგენია ამბიციური გუნდი, სადაც ინტრიგები არ არის. წაგვიკითხავს, „მილანში“ ფეხბურთელები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნიო...

— ტყუილია. არანაირი ინტრიგები და მით უმეტეს, დაჯგუფებები არ ყოფილა. პაპარაცებს ყველაფრის გამოგონება შეუძლიათ.

— „მილანში“ 30 წელს გადაცილებული ბევრი ფეხბურთელია და ზოგი „მოხუცების გუნდს“ ეძახის. ეს ირონია არ გწყინთ?

— არა. ვცდილობ, არ მივაქციო ყურადღება. ასაკოვნებთან ერთად ახალგაზრდებიც გვყავს. ვფიქრობ, თანამედროვე ფეხბურთში ასაკს ნაკლები ყურადღება ექცევა. ეს ადრე იყო, 30-ს გადასცილდებოდი და მოხუცად გთვლიდნენ.

— რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა შევჩენკო „მილანიდან“ წავიდა?

— ბუნებრივია, არ მესიამოვნა. „მილანმა“ დაკარგა კარგი ფეხბურთელი, პირადად მე კი — მეგობარი. თუმცა „შევამ“ თავისი არჩევანი გააკეთა, იგი ოცნებობდა „ჩელსიზე“, უნდოდა, სხვა ცხოვრებას და კულტურას გაცნობოდა. ანდრეი ჭკვიანი ადამიანია, თანაც, ოჯახი ჰყავს და „მილანში“ დარჩენაზე დაყოლიების მცდელობას აზრი არ ჰქონდა. ჩვენ მეგობრებად დავრჩით, ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს.

— შევჩენკოს ოჯახი ჰყავს. თქვენ რას აპირებთ?

— ჯერჯერობით, მარტო ვარ, არავინ მყავს. სერიოზულ ურთიერთობას მხოლოდ იმ ქალთან გავაბამ, რომელშიც დარწმუნებული ვიქნები. უბრალოდ, არ მინდა, ვინმე მოვატყუო ან ვინმემ მომატყუოს — ოჯახი ხომ წმინდაა.

— და მშობლები როგორ უყურებენ თქვენს მარტოობას? 27 თებერვალს 30 წლის ხდებით და ისევ დასაოჯახებელი...

— გაგებით ეკიდებიან ამ საკითხს, თუმც რამდენჯერმე კი მაგრძნობინეს, შვილიშვილები გვინდაო. რაც შეეხება იუბილეს, დიდ ზეიმს არ მოვაწყობ, რაც უნდა იყოს, მაგ დროს გაგანია სეზონია.

— მილანში სამუდამოდ დასახლებას არ გეგმავთ?

— აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში, თუმც საქართველოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. კიევშიც მაქვს სახლი, მყავს ბევრი მეგობარი... კიევი ან თბილისი — ამ ორ საყვარელ ქალაქს ვერ მოვშორდები. საერთოდ კი, ჯერ არ ვიცი, რით დავკავდები კარიერის შემდეგ.

— „მილანში“ ვისთან მეგობრობთ?

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. უფრო ხშირად ალესანდრო ნესტასთან, მასიმო ამბროზინისთან, ფილიპო ინძაგისთან და პაოლო მალდინისთან ვარ. მივდივართ რესტორანში, ვლაპარაკობთ — აბა, ღვინოს მე არ ვსვამ. თუმც რომც მინდოდეს დალევა, ამის დრო სადღაა...

— ვიცით, რომ მანქანით სწრაფი რბოლა გიყვართ. იტალიაში ალბათ „ფერარი“ გყავთ...

— ჩვენი სპონსორი „აუდია“, თუმც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ამ მარკის ავტომობილით ვიარო. გარაჟში ჯიპი „რეინჯ როვერი“ და „ბენტლი“ დგას. ესაა ჯერჯერობით ჩემი ავტოპარკი, ისე კი, ხშირად ვიცვლი მანქანებს.

— „მილანიდან“ წასვლას არ აპირებთ?

— ჯერჯერობით, არა. კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს და ისედაც, აქ ყველაფერი მომწონს.

— ორიოდ თვის წინ „ლივერპულს“ უნდოდა თქვენი შეძენა...

— ჭორია. „მილანში“ „ლივერპულიდან“ არანაირი დოკუმენტი არ მოსულა და არც ჩემთან დაურეკავთ ინგლისიდან.

— „მილანს“ სერია A-ში ცუდად მისდის საქმე. რატომ?

— პირველ წრეში ბევრი საშინაო მატჩი ჩავაგდეთ, თუმც საშიში არაფერია. ახლა „მილანი“ ისევე პროგრესის გზაზეა. ძალიანაც გვინდა, მაგრამ „ინტერს“ ველარ დავეწევით, ასე რომ, ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება და სერია A-ს ოთხეულში შესვლაა.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „არსენალს“ ხვდებით. რას იტყვით?

— საინტერესო მატჩები იქნება. „არსენალი“ პრემიერლიგის ერთი ლიდერია, კომბინაციურ, მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობს.

— არსენალელ ალექსანდრ გლებს იცნობთ?

— არა. უბრალოდ, ვიცი, რომ გლები ძალიან ტექნიკურია, „მეთოფეების“ ერთ-ერთი ლიდერია.

— როგორ ფიქრობთ, ინგლისის პრემიერლიგას კარგად შეეგუებოდით?

— ვფიქრობ, იტალიის ჩემპიონატში ნათამაშევი ფეხბურთელი ინგლისში კი არა, ყველგან გამოიჩენს თავს. თუმც წეღანაც ვთქვი, ასეთი ექსპერიმენტის მოწყობას არ ვაპირებ.

— კიევის „დინამოს“ კრიზისი აქვს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ჩემი აზრით, პრობლემები ვალერი ლობანოვსკის გარდაცვალების მერე დაიწყო. ლობანოვსკი იყო კაცი, რომელმაც უკრაინული ფეხბურთისთვის და პირადად ჩემთვისაც ფასდაუდებელი სამუშაო გასწია. ახლა კიეველები ახალგაზრდულ გუნდს ქმნიან და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის იმედი გაქვთ?

— ჩვენთან ახალი გუნდი კეთდება, 17-18 წლის ბიჭები გვყავს. წინა შესარჩევ ციკლში კლაუს ტოპმიოლერმა ბევრი ახალგაზრდა გასინჯა, ახლა კი მუშაობა მიდის, რათა ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს. მუნდიალზე გასვლა ძალიან მინდა და ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

— წავიკითხეთ, კალაძეს საქართველოს პრეზიდენტობა სურსო...

— გასართობი ისტორიაა: შემეკითხნენ, რას გავაკეთებდი კარიერის დასრულების შემდეგ და მეც ვუპასუხე, ვისწავლი და მერე, ვინ იცის, პოლიტიკაში წავიდე-მეთქი. და მორჩა, პრეზიდენტობაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

— რა არის თქვენი ოცნება?

— ძნელია უცბად თქმა. რაღაცას სულის სიღრმეში ვოცნებობ, მაგრამ რომ ვთქვა, არ ამისრულდება. ასე რომ, ნუ განმსჯით.

## ...ისევ თოვლიანი მუჯირი

ვერა და ვერ ჩააღწია ესპანურ შეკრებაზე დავით მუჯირმა. სამარელთა მწვრთნელ ლეონიდ სლუცკის კი ეს ამბავი ძალიან აღელვებს...

„სამწუხაროდ, მუჯირის თაობაზე არაფერი გაგვიგია. იგი არაბეთში გუნდთან ერთად იყო, მაგრამ ესპანეთში ველარ ჩამოვიდა. შარშან მუჯირი გუნდის კაპიტნად აირჩიეს და მისი ძალიან გვეიმედება“ — განაცხადა სლუცკიმ.

შეგახსენებთ: „კრილია“ ესპანეთში 25 იანვარს გაფრინდა მოსკოვიდან, მუჯირი კი რუსეთის დედაქალაქში დიდთოვლობის გამო ვერ ჩავიდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## დავით აბშილავა: არც გოლით, არც უგოლოდ

თბილისის „მერანის“ 23 წლის მცველი დავით აბშილავა, რომელიც ბელარუსის უმაღლესი ლიგის კლუბებში ისინჯებოდა, ჯერ „დარიდამ“, შემდეგ კი გროდნოს „ნემანმა“ დაიწუნა.

აბშილავამ „ნემანის“ შემადგენლობაში ამხანაგური თამაში „სმორგონთან“ ჩაატარა, რომელიც 1:1 დასრულდა. ერთადერთი გოლი ჩვენებურის ანგარიშზეა, თუმც ქართველი ფეხბურთელის გუნდში დატოვება „ნემანის“ მწვრთნელმა საჭიროდ არ მიიჩნია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ამიენი 1:0 ლიბურნი
სედანი 0:1 ტრუა
რეიმსი — ბასტია გადაიდო

### გერმანია

თასის 1/8 ფინალი
ალემანია 2:3 მიუნხენი
ჰოფენჰაიმი 2:1 ჰანზა
ვუპერტალი 2:5 ბაიერნი
დორტმუნდი 2:1 ვერდერი

### იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი
რომა 1:0 სამპდორია (1:1)

### შოტლანდია

ლიგის თასი
1/2 ფინალი
აბერდინი — დანდი იუნ. გადაიდო

### ამხანაგური მატჩები

სენტ ვინსენტი 2:2 გაიანა
სტიაუა 1:0 მეტალურგსი
რაპიდი 3:0 ვინტერთური
ბაზელი 1:0 ივერდონი
აარაუ 6:0 კრინსი
ბეითარი 1:0 ცსკა (მ)

### ინგლისი

პრემიერლიგა
XXIV ტური
არსენალი 3:0 ნიუკასლი
ბოლტონი 0:0 ფულემი
მიდლსბრო 1:0 უიგანი
სანდერლენდი 2:0 ბირმინგემი
ჩემპიონატი
XXIX ტური
ბარნსლი 1:0 კოლჩესტერი
კარდიფი 3:1 ქუინზ პარკი
ჩარლტონი 1:0 სტოკი
ჰალი 1:0 ქოვენთრი
იფსვიჩი 0:0 პლიმუთი
პრესტონი 2:1 ვესტ ბრომვიჩი
შეფილდი 1:1 უოტფორდი
საუთჰემპტონი 0:1 ნორვიჩი
ვულვზი 2:1 უენსდი
I ლიგა
XXIX ტური
ჩელტენემი 0:1 მილუოლი
ქრიუ 1:1 როვერსი
დონკასტერი 2:0 ჰარტლპული
ჰადერსფილდი 1:0 ბორნმუთი
ლუთონი 0:1 სუინდონი
ნორთჰემპტონი 1:0 ბრაიტონი
ნოტინგემი 0:0 სუონსი
ოლდემი 2:0 კარლაილი
პორტ ვეილი 2:2 იოვილი
საუთენდი 1:0 ლიდსი
ტრანმერი 2:0 ჯილინგემი
უოლსოლი 0:0 ლეიტონი
II ლიგა
XXIX ტური
დარლინგტონი 1:0 აკრინგტონი
ბრედფორდი 4:2 შრიუსბერი
ბრენტფორდი 0:0 ნოტსი
ჩესტერი 0:4 როჩდეილი
გრიმსბი 1:0 ბერი
ლინკოლნი 1:2 მენსფილდი
დონსი 1:1 მაკლსფილდი
მორეკემბი 2:2 რექსემი
პიტერბრო 3:1 როტერჰემი
სტოკპორტი 2:2 ჩესტერფილდი
უიკომბი 0:1 დაგენემი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ალდერშოტი 1:0 ოქსფორდი
ბარტონი 2:1 რაშდენი
კემბრიჯი 0:1 ექსეტერი
ქროული — გრეისი გადაიდო
ვეიმუთი — ფერსლი გადაიდო

# გიორგი განუგრავა: მოტყუებული ბიჭი თუ საშიში პრეცედენტი?

## ზესტაფონს საფეხბურთო მეკობრეობასთან ბრძოლა სამართლებრივ ჭრილში გადააქვს

**ქართული** ფეხბურთის გულშემატკივრისთვის კარგადაა ცნობილი გიორგი განუგრავას სახელი. ამ ნიჭიერმა ბიჭმა ყველა ჩვენგანს თავი დაგვამახსოვრა ჯერ ფანტასტიკური წარმატებებით, ეროვნულ ნაკრებში სისტემატური გამოძახებით, შემდგომ კი საფეხბურთო სამყაროდან გაუჩინარებითა და წარმატებულად დაწყებული კარიერის ფაქტობრივი კრახით.

სპორტულ მედიაში ბოლო თვეების მანძილზე გაჟღერდა მრავალი ვარაუდი გიორგი განუგრავას, გადამეტების გარეშე, ტრაგიკული საფეხბურთო ბედ-იღბლის მიზეზების შესახებ. თუმცა საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ერიდებოდა ამ პოლემიკაში ჩართვას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კლუბს, რომელმაც მიიღო დიდი მონაწილეობა გიორგის, როგორც პროფესიონალი მოთამაშის ჩამოყალიბებაში, არ სურდა ახალგაზრდა კაცისა და სპორტსმენის უკუღმა დატრიალებული სპორტული ცხოვრების გამო შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება.

თუმცა, ვშიშობთ რა, რომ გიორგი განუგრავას მდგომარეობა ქართული ფეხბურთისთვის საშიშ პრეცედენტად არ ჩამოყალიბდეს, გვსურს, ყოველივე ამასთან, ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ.

მაშ ასე, გიორგი განუგრავას საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ მოქმედი შრომითი კონტრაქტი 2007 წლის თებერვალში ეწურებოდა. ფეხბურთელის გადაბირება დასავლეთ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებს სურდათ. და სწორედ იმ დროს, როდესაც კლუბსა და ფეხბურთელს შორის თანამშრომლობის გახანგრძლივებაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, როდესაც ევროპული კლუბების წინადადებებთან დაკავშირებით კონსულტაციები იმართებოდა, საქმეში „ჩაერთვნენ“ ადამიანები, რომლებსაც საფეხბურთო აგენტის ლიცენზიაც კი არ გააჩნდათ. ამ ბატონებმა შეაგულიანეს ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცი, შეჰპირდნენ მას „ოქროს კოშკების აშენებას“, რაღაც „მითიურ“ კლუბებში მოწყობას და კარიერის წარმატებულ გაგრძელებას. ხოლო ამ „ზრუნვა-აქტიურობის“ რეალური შედეგი კი გახლავთ ის, რომ გიორგი განუგრავა საერთოდ უფეხბურთოდ რჩება წლისა და 2 თვის მანძილზე.


გიორგი განუგრავა დღეს ჩეხურ „ბოლესლავში“

ზემოთ ვახსენეთ საშიში პრეცედენტის წარმოქმნის საშიშროება — იგი სულაც არ მდგომარეობს იმაში, რომ საფეხბურთო კლუბმა იმედისმომცემი ფეხბურთელი დაკარგა, არც იმაში, რომ გუნდმა მატერიალურად იზარალა (მით უმეტეს, რომ საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ აუცილებლად მოითხოვს იმ კლუბისგან, რომელიც გიორგი განუგრავას შეძენას მოისურვებს, კანონიერ კომპენსაციას). საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ფეხბურთელის ბედი ხელთ ჩაუვარდა არაპროფესიონალებს, რომელთაც ამოძრავებთ მხოლოდ და მხოლოდ მერკანტილური ინტერესები. მსგავს სიტუაციაში, შესაძლოა, ნებისმიერი ქართული კლუბი და მისი აღზრდილი მოთამაშე აღმოჩნდეს. ქართულ ფეხბურთში, რომელიც ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, მსგავსი ავანტიურისტების თარეში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. სწორედ ამის გამო, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ უახლოეს მომავალში აპირებს საფეხბურთო მეკობრეებთან ბრძოლის სამართლებრივ ჭრილში გადატანას.

*საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრესსამსახური*

P.S. რაც შეეხება უშუალოდ გიორგი განუგრავას, მოგახსენებთ, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ყველა წევრისთვის გიორგის წინსვლა და ნებისმიერი წარმატება მხოლოდ სიხარულის მომტანი იქნება.



# ოლიმპის უკრაინა გამოირიცხა

## რუსთავს მხოლოდ აკუასაგა შეემატა

**გუშინდელ** „სარბიელში“ გამცნეთ, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ რუსთავის „ოლიმპს“ რამდენიმედღიანი დასვენება ამოეწურა და ვარჯიში განაახლა.

ანატოლი პისკოვეცი 1 თებერვლისთვის სამ თანამემამულეს — ალექსანდრ ომელიანოვს, სერგეი პატულას და ანტონ კოვალევსკის ელოდა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპში“ მათი გადასვლა საბოლოოდ გამოირიცხა.

ამბის გასარკვევად კლუბის ხელმძღვანელ ბადრი ქარქაშაძეს შევეხმიანეთ...

„სამწუხაროდ, ომელიანოვის, პატულას და კოვალევსკის კლუბებთან პირობებზე ვერ მოვილაპარაკეთ. დანამდვილებით გეტყვით, რომ მეორე წრეში ამ ლეგიონერებს ვეღარ დავიმატებთ. მხოლოდ გაბონელი ერნესტ აკუასაგა დაგვიბრუნდა, რომელიც სავიზო პრობლემების გამო „თანამეგობრობის თასზე“ ვერ დაგვეხმარა. ყველა დანარჩენი ფეხბურთელი, ვინც რუსეთში გვყავდა, „ოლიმპი“ დარჩებიან“ — გვითხრა ქარქაშაძემ.

გუშინ პისკოვეცმა გუნდი ორჯერ ავარჯიშა, დღეს ერთმანეთში ათამაშებს, ხვალ კი ურეკში წაიყვანს 10-დღიან შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# ქართული ანჟი და ქართული გოლი

**ქართველებით** სავსე „ანჟიმ“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და 1:2 დამარცხდა სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ფარმკლუბ „სპორტაკადემკლუბთან“.

მახაჩყალელთაგან ერთადერთი გოლი რევაზ ჯიქიამ გაიტანა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

ჯიქია მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე რევაზ ბარაბაძის ნაცვლად.

სხვა ქართველთაგან ვალერი აბრამიძემ სრულად ითამაშა, გიორგი ნავალოვსკიმ პირველი ტაიმი, გოჩა ხოჯავა კი მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ მე-60 წუთზე შეცვალა.

რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას, თეთრაძემ მას დასვენების საშუალება მისცა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, 6 თებერვალს საქართველო — ლატვიის ამხანაგური მატჩი ეროვნული სტადიონის ნაცვლად „მიხეილ მესხზე“ გაიმართებაო. მიზეზად გაყინული მინდორი დასახელდა, თუმცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ეს არ დაგვიდასტურა



# ვინ მოყინა ეროვნული?!

## ფედერაცია მეტოქეს მალე გაამხელს

— ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა — ლატვიასთან „ეროვნულზე“ ვაპირებთ თამაშს. 2 თებერვალს სტადიონის დირექციას უნდა შევხვდეთ და თუ რამე შეიცვლება, ყველა გაიგებს.

— სანკტ პეტერბურგში თქვენ და ნოდარ ახალკაცი ფიფას და უეფას პრეზიდენტებს, იოზეფ ბლატერს და მიშელ პლატინის შეხვდით...

— 26-27 იანვარს გვქონდა შეხვედრები. შევჯამდა გასული წელი და, ცხადია, სამომავლო გეგმებზეც ვისაუბრეთ.

— მათი საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე ახალი არაფერია?

— ბლატერსაც და პლატინისაც ძალიან სურთ, თბილისში გვეწვიონ. როგორც გვითხრეს, ამ წლის პირველ ნახევარში აუცილებლად ჩამოვლენ.

— საქართველოს ნაკრებს მაისშიც უნდა ამხანაგური მატჩის გამართვა, როგორც ითქვა, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებთან...

— ფაქტობრივად, გადაწყვეტილია რომ 31 მაისს სტუმრად ვითამაშებთ. მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია და მეტოქე ქვეყნის ვინაობას ორ დღეში გავაცხადებთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# დინამოს ორჯერადი და ინდივიდუალური

**თბილისის** „დინამო“ ისევ თურქეთშია და ორჯერადი ვარჯიშებით ჩემპიონატის მეორე წრისთვის ემზადება. ჩვენები ამჯერად ანთალიიდან 60 კილომეტრის მოშორებით, დაბა სიდეში, სპორტკომპლექსს „ბლუ ვოტერსში“ არიან დაბინავებულნი.

მწვრთნელმა დუშან უჰრინმა ახლაც იგივე 24-კაციანი შემადგენლობა იახლა, რომელიც პირველ შეკრებაზე ჰყავდა.

გუნდს გუშინ შეუერთდა რამდენიმე დღით გერმანიაში წასული ნედ ზელიჩი, თუმცა ის და დავით ოდიკაძე ჯერაც ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ. ორივე თურქეთში პირველი შეკრებისას დაშავდა.

„დინამო“ ამ შეკრების პირველ ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს — უჰრინი შეგირდებს ჩეხურ გამბრინუსლიგაში მეორე ადგილზე მყოფ „ბანიკს“ გააჯიბრებს.

თბილისელებს თურქეთში კიდევ სამი თამაში აქვთ დაგეგმილი — პოლონური „არკა“, უკრაინული „ნეფტიანიკი“ და „კარპატი“ იქნებიან „დინამოს“ მომდევნო მეტოქეები.

**კობა ინასარიძე**

# სტურუას კარვანი აღარ გამოუვიდა

**ერთ** დროს საქართველოს ნაკრების მეკარის, ზვიად სტურუას სპორტული კარიერა ბოლო წლებში აშკარად ვერ აეწყო.

სტურუამ ჯერ თბილისის „დინამოს“ ძირითადში დაკარგა ადგილი, შემდეგ განათხოვრებით საჩხერის „ჩიხურასა“ და ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა, ბოლოს კი აზერბაიჯანს მიაშურა.

ევლახის „კარვანში“ გასინჯვაზე მყოფი მეკარე აზერბაიჯანელებმაც დაიწუნეს და სტურუას სამშობლოში დაბრუნება მოუხდა.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც „კარვანმა“ საკონტროლო მატჩში 0:3 წააგო მინსკის „დინამოსთან“, კარში კი სწორედ სტურუა იდგა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გივი კვარაცხელია: საკუთარი თამაშით კმაყოფილი დავრჩი

ლიტვური „კაუნასის“ ნახევარმცველმა გივი კვარაცხელიამ სანკტ პეტერბურგში გამართულ „თანამეგობრობის თასზე“ ორი გოლი კი გაიტანა, მაგრამ ლიტველი ჟურნალისტების აზრით, მისი გუნდი მაინც წარუმატებლად გამოვიდა. კვარაცხელიას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ესაუბრა...

— „თანამეგობრობის თასმა“ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

— ცხადია, ძალიან კარგი, რადგან სანკტ პეტერბურგში ბევრი საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო ჩამოსული. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე რთული ის ჯგუფი იყო, რომელშიც ჩვენ ვთამაშობდით. ტურნირზე მსაჯობა არ მომეწონა — პირველ დღეს, როდესაც აზერბაიჯანულ „ხაზარს“ ვხვდებოდით, არბიტრმა, რომლის გვარიც არ მახსოვს, ძალიან ცუდად გვიმსაჯა. ორი ფეხბურთელი გაგვიძევა და ჩვენს კარში პენალტი ორჯერ დანიშნა.

— „კაუნასი“ ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. უფრო მეტის მიღწევა შეგეძლოთ?

— ჩემი აზრით, გუნდმა სანკტ პეტერბურგში თავი კარგად წარმოაჩინა, მაგრამ ცოტა იღბალი არ გვეყო. შესაძლოა, ხელი იმანაც შეგვიშალა, რომ მწვრთნელი შემადგენლობის როტაციას ხშირად ახდენდა.

— ფინალში ლენქორანის „ხაზარი“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“ გავიდნენ. როგორ ფიქრობთ, მათ ეს დაიმსახურეს?

— დიახ, რადგან ეს გუნდები კარგად თამაშობდნენ და ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ფინალში მოხვდნენ. ორივეს ძალიან ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავდა.

— სანკტ პეტერბურგში საკუთარი თამაშით თუ დარჩით კმაყოფილი?

— ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია. როგორც ჩემი, ასევე თანაგუნდელების თამაშითაც კმაყოფილი ვარ. ჩვენი ახალწვეულებიც მომეწონა.

— ადრე ტურნირი მოსკოვში ტარდებოდა, ხოლო ამჯერად სანკტ პეტერბურგში გაიმართა. ორგანიზაციული მხარე სად უფრო უკეთესი იყო?

— დიდი განსხვავება არ ყოფილა, მაგრამ მოსკოვში მაინც უკეთ იყო ორგანიზებული. თუმცა, თავად მატჩები სანკტ პეტერბურგში უფრო საინტერესო გამოვიდა, ვინაიდან თამაშებს ბევრი გულშემატკივარი ესწრებოდა.

# ლომიძის ზიმბრუ ტავრიამ სძლია

**მამუკა ლომიძის** „ზიმბრუ“ სიმფეროპოლის „ტავრიას“ გაეჯიბრა და 0:1 დამარცხდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მცველმა კიშინიოვურ გუნდში შეუცვლელად ითამაშა.

ლომიძე ორი სეზონია, „ზიმბრუში“ თამაშობს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ. მოლდოვამდე კი ის ჯერ რუსეთში იყო, მერე — „ბათუმში“.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კვირკველიამ ლატვიამდე ავსტრია დაამარცხა

**ესპანურ** შეკრებაზე მყოფი დავით კვირკველიას ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ ვენის „ავსტრიას“ შეხვდა და 2:1 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელი ძირითად შემადგენლობაში იყო და მწვრთნელმა 75-ე წუთზე შეცვალა.

შეგახსენებთ: დავით კვირკველია, 6 თებერვალს ლატვიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის საქართველოს ეროვნულ გუნდშია გამოძახებული.

**ბაჩა შალამბერიძე**

# თბილისის დინამო ძველი ნაცნობობის გამო დავინდეთ

## გიორგი დემეტრაძე: თავს კიეველად ვგრძნობ

სრულიად ახალგაზრდა იყო გიორგი დემეტრაძე, როდესაც რუსულ პრემიერლიგაში სპეციალისტები გააოცა და ნახევარ სეზონში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. დემეს კარგი თამაში ახლაც ახსოვთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს — თურქულ შეკრებაზე კიევის „არსენალთან“ ერთად მყოფი ქართველი თავდამსხმელი რუსმა ჟურნალისტებმა უმალ იცნეს და მცირე ინტერვიუც ჩამოართვეს...



— კარგად ვარ, ჯანმრთელად და მთელი ენერგიით ვვარჯიშობ. რაც მთავარია, ფეხბურთელისთვის. გუნდში კარგი ატმოსფეროა. ვინც შეგვხვდა, ყველას მოვუგეთ, მხოლოდ თბილისის „დინამო“ (2:2) დავინდეთ ჩემი ძველი ნაცნობობის გამო. ერთია, ცოტა გოლი გამაქვს, საგოლე პასებს უფრო მეტს ვაკეთებს.

— რატომ?

— სეზონის წინ რთულია ოპტიმალურ ფორმაში ყოფნა, დიდი დატვირთვის ფონზე ვთამაშობ, მაგრამ არაფერია, ჩემპიონატის მსვლელობისას ყველაფერი დალაგდება.

— ძველ დროს არ იხსენებთ, როდესაც საუკეთესო რუსულ და უკრაინულ გუნდებში თამაშობდით?

— „არსენალიც“ პრესტიჟული გუნდია — პირველი ექვსეულისთვის აცხადებს პრეტენზიას. „ალანიას“ ხშირად ვიხსენებ. აქ შეკრებაზე გია ბაზაევს შევხვდი, რომელიც ახლა „ლუჩ-ენერგიაში“ თამაშობს. გავიხსენეთ ძველი დრო... გვეწყინა, რომ „ალანია“ პრემიერლიგიდან გავარდა. მართლა, როგორ ფიქრობთ, წლეულს დაბრუნდება „ალანია“ პრემიერლიგაში?

— **ვერ გეტყვით... ალბათ, თუ დემეტრაძე დაბრუნდება ვლადიკავკაზში...**

— მეყო სიარული. ბევრი კლუბი გამოვიცვალე... დროა, გავჩერდე.

— სურვილი არ გაქვთ, კარიერის ბოლოს ძლიერ გუნდთან ერთად რამე მნიშვნელოვანი მოიგოთ?

— ყველა ფეხბურთელი ტიტულების მოგროვებისკენ ისწრაფვის და თუ მას ამის სურვილი არ აქვს, დროა, დაასრულოს თამაში. თუმცა ისიცაა, რომ თავისი შესაძლებლობები ყველამ რეალურად უნდა შეაფასოს.

— **ჩაწერით ახლა სადაური ხართ — კიეველი თუ თბილისელი?**

— კიეველი. კარგა ხანია, იქ ბინა მაქვს და ალბათ დავრჩები კიდეც საცხოვრებლად, რადგან ძალიან მომწონს იქაურობა. თუმც საქართველოს მოქალაქეობაც მაქვს. არ არის გამორიცხული, კარიერის დასრულების შემდეგ კიევში პატარა ბიზნესიც წამოვიწყო.

# ჯაკობია და ორი ქართველი

**თურქულ** შეკრებაზე მყოფი ლაშა ჯაკობიას „ვორსკლა“ ამხანაგურად მოლდოვურ „დაჩიას“ გაეჯიბრა და უგოლო ფრეს გამორჩა.

„დაჩიას“ შემადგენლობაში ლევან კორღალიძემ სრულად ითამაშა, ჯაბა დვალი კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. რაც შეეხება გასინჯვაზე მყოფ ირაკლი კოხრეიძეს და დიმიტრი პარამონოვს, მათ არ უთამაშიათ.

„ვორსკლასთვის“ კი ჯაკობია მხოლოდ პირველ ტაიმში გაისარჯა და, როგორც პოლტაველთა ოფიციალური ვებგვერდი წერს, ბევრს აქტიურობდა, თუმც თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს.

ცნობისთვის: „დაჩია“ კიდევ ერთ საკონტროლო მატჩს გეგმავს „ქართულ“ გუნდთან — ზეგ მოლდოველები კახა ალადაშვილის „ხარკოვს“ გაეჯიბრება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ალექსანდრე შარლი გურული: ჩემი საქართველო ყველაფერს მირჩევნია
## სად გადავალ? ჩელსიში!



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელზე, 22 წლის სანდრო გურულზე გუშინაც ვწერდით. საინტერესო კი ისაა, რომ სანდრო საფრანგეთის მეოთხედივიზიონელ „დიონ დუშერის“ პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და მასთან მცირე ინტერვიუცაა ერთ-ერთ ფრანგულ ვებგვერდზე...

ჟურნალისტი ჩვენიანს უფრო არასაფეხბურთო თემებზე ეკითხება, კერძოდ, სად გაატარებდა სანდრო არდადეგებს.

პასუხი კი ასეთია: „საქართველოში. ეს ჩემი ქვეყანაა და ყველაფერს მირჩევნია“.

გურულს მისთვის სასურველ კლუბზეც ეკითხებიან და იუმორისტულ პასუხს იღებენ: „დიდი სიამოვნებით გადავალ „ჩელსიში“, ოღონდ გრძელვადიანი კონტრაქტით“.

აქ ისიც ვთქვათ, რომ საფრანგეთის თასზე ალექსანდრ შარლი გურულის (ასეა მოხსენიებული) „ლიონ დუშერმა“ ორი ეტაპი გაიარა და 2 თებერვალს შინ „ლილს“ ხვდება. მანამდე კი ლიონელებმა მეორე და მესამე დივიზიონის გუნდები გამოთიშეს (2:1 და 3:2) და ხუთი გოლიდან სამი სანდროს პასით გავიდა.

**ილია ნანობაშვილი**

# მალი მალე ამოიწურა



დიდიე დროგბამ ინტრიგა მეცხრე წუთზე მოკლა

MTN Africa Cup of Nations
GHANA 2008

**B ჯგუფი. III ტური**

**კოტ დივუარი 3:0 მალი**

1:0 დროგბა (9), 2:0 ზორო (54), 3:0 სანოგო (85)

**კოტ დივუარი:** ბარი, ებუე, ზორო, ზოკორა, ტიენე, ი. ტურე, ფაე, კოფი ნდრი, დროგბა (სანოგო 75), ა. კეიტა (ბ. კონე 59), კონე

მწვრთნელი: ჟერარ ჟილი

**მალი:** მ. სიდიბე, კულიბალი (დიალო 46), კანტე, ტამბურა, ს. ტრაორე, დიაკიტე, ს. კეიტა, ჯ. სიდიბე, ბ. ტურე (დისა 60), კანუტე (მ. სისოკო 46), დ. ტრაორე

მწვრთნელი: ჟან-ფრანსუა ჟოდა

მსაჯი: ედი მეიე (სეიშელები)

**ნიგერია 2:0 ბენინი**

1:0 ობი მიკელი (52), 2:0 აიეგბენი (86)

**ნიგერია:** ეჯიდე, იობო, ობინა ნვანერი, შიტუ, ტაივო, ობი მიკელი, უჩე, ეტუჰუ (ერომოიგბე 74), უტაკა (ნსოფორი ობინა 52), აიეგბენი, ოდემვინგი (აფოლაბი 90)

მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი

**ბენინი:** ჯიდონუ, ადენონი, შრისტოსომი, გასპო, აჯამოსი (ოგუნბიი 46), ოკეტოლა, ბოკო, სესენიონი (მაიგა 84), ამუეია, ომოტოიოსი, ჩომოგო

მწვრთნელი: რაინჰარდ ფაბიში

მსაჯი: ქასემ ბენ-ნასერი (ტუნისი)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ნიგერია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| მალი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ბენინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**ბოლო** ტურის მატჩებამდე B ჯგუფში მეტად საინტერესო სიტუაცია იყო შექმნილი. კოტ დივუარის ნაკრებს წინა შეხვედრებში ნიგერიელთა და ბენინელთა ძლევით პლეი-ოფის გზა უკვე გაეკვალა, ამიტომაც იყო, რომ გუშინდელ მატჩში „სპილოებს" მარცხის უფლება ჰქონდათ. მეორე მხრივ, მალელ „არწივებთან" წაგების შემთხვევაში ჟერარ ჟილის რაზმს ჯგუფის მეორე ადგილი ერგებოდა, რომელიც მას ტურნირის მასპინძელ განელებს შეახვედრებდა, რაც სასურველი ნამდვილად არ იქნებოდა. ჯგუფის მოგების შემთხვევაში „სპილოთა" მეტოქე უფრო მოკრძალებული გვინეელები იქნებოდნენ. მოკლედ, კოტ დივუარის ნაკრებისთვის მისაღები შედეგი არწაგება, ანუ მოგება ან ფრე იქნებოდა. პრინციპში, საყაიმო რეზულტატზე ყაბულს მალის ნაკრებიც იქნებოდა — „არწივები" 5 ქულას დააგროვებდნენ და უშუალო კონკურენტი ნიგერიელი „სუპერარწივებისთვის" მიუწვდომელები გახდებოდნენ. საინტერესო იყო ისიც, რომ მსოფლიოს საბუკმეიკერო კანტორებმა კოტ დივუარი-მალის მატჩის ფრედ დამთავრებაზე არნახულად დაბალი კოეფიციენტი დააწესეს, ანუ ყველაზე სავარაუდოდ ეს შედეგი მიიჩნიეს. ხსენებული ნიგერიელები სწორედ პარალელური მატჩის შედეგზე იყვნენ დამოკიდებულნი. ბერტი ფოგტსის ბიჭებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ, თანაც ორბურთიანი ან უფრო დიდი სხვაობით, ხოლო ბენინის ნაკრებისთვის გუშინდელ მატჩს არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — „ციყვები", ასე ვთქვათ, მხოლოდ პრესტიჟის დასაცავად გავიდნენ სათამაშოდ...

რეალობა კი ასეთია — კოტ დივუარის ნაკრებმა პლეი-ოფში განაზე გასვლა არ ისურვა და მალელთა წინააღმდეგ საუკეთესო შემადგენლობით ითამაშა; ჟერარ ჟილის ეს სვლა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად; მალის ნაკრებმა სამი უპასუხო გოლი მიიღო საკუთარ კარში; ამასობაში ნიგერიელებმაც იყოჩაღეს, ბენინს ორჯერ გაუტანეს და ბერტი ფოგტსი სირცხვილს გადაარჩინეს.

ყველაფერი მალევე გაირკვა. „სპილოებმა" მალელ „არწივებს" ხეირიანად გახურების საშუალებაც არ აცალეს — ლამაზი კომბინაციის შედეგად დიდიე დროგბა დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და აუღებლადაც გაისროლა. ლონდონელი „არისტოკრატი" ბომბარდირის ამ გოლმა „არწივები" დაამწუხრა და „სუპერარწივები" გაახარა, მაგრამ ნიგერიელები იმას ვერ ახერხებდნენ, რაც საკუთრივ მათზე იყო დამოკიდებული — „ციყვების" კარში გოლის გატანას.

პირველი ტაიმი ნიგერიელებმა საკმაოდ უჯიგროდ ჩაატარეს, თუმცა მეორე ნახევარში „სუპერარწივებს" გადამრჩენად „ჩელსის" შუახაზელი ჯონ ობი მიკელი მოევლინათ, რომელმაც 52-ე წუთზე ანგარიში გახსნა, ხოლო თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე იაკუბუ აიეგბენის გაატანინა. თუმცა, „ევერტონის" ფორვარდის ამ გოლს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — პარალელურად მიმდინარე მატჩში მარკ ზორომ და ბუბაქარ სანოგომ „სპილოების" გამარჯვებას უფრო სოლიდური სახე შესძინეს და შესაბამისად, მალის ნაკრების ყოველგვარ იმედებს ხაზი გადაუსვეს. მეორე გოლის გაშვების შემდეგ „არწივებმა" გაბრძოლება სცადეს, რაშიც ტურინის „იუვენტუსში" ახალგადასულმა მომო სისოკომ ითამაშა სოლიდური როლი, ერთხელ ბურთი კოტდივუარელთა კარის ძელსაც მოარტყეს, მაგრამ ეგ იყო და ეგ. კოტ დივუარი 3 თებერვალს გვინეას დაუპირისპირდება, ხოლო ნიგერიას ურთულესი მატჩი ელის — მიმდინარე ტურნირის მასპინძელ განას შეხვდება.

**სლავა გასპაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მელბერგის შავ-თეთრი ზაფხული

**„იუვენტუსმა"** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ასტონ ვილადან" ოლაფ მელბერგი შეიძინა. შვედ მცველს ბირმინგემულ კლუბთან კონტრაქტი 30 ივნისს ეწურება და ტურინს ზაფხულში მიაშურებს. „ამ გარიგებით ბედნიერი ვარ — თქვა 30 წლის მელბერგმა — ერთი სული მაქვს, როდის მოვირგებ „შავ-თეთრ" მაისურას. „იუვენტუსი" ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია". შვედი პრემიერლიგაში 2001 წლიდანაა და 250 მატჩი ითამაშა, ნაკრებში კი 70 თამაში მოუგროვდა.

## გამაძევოს და ვესვრი!

**მოყვარულმა** ფრანგმა ფეხბურთელმა, რომლის გვარ-სახელსაც პოლიცია არ ამხელს, მოედანზე ორჯერ ისროლა. „სენ-მორ-დე-ფოსეს" მოთამაშეს მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა, გაძევებული კი გასახდელში შევიდა, პისტოლეტი აიღო, მოედანზე დაბრუნდა და ორჯერ დააჭექა. დაჭრილი არავინაა და როგორც ჩანს, მსაჯის დასაშინებლად „დააბრახუნა". პოლიციამ „სნაიპერი" დააკავა, იარაღისგან დამფრთხალი დანარჩენი ფეხბურთელები კი გაახდელში დაიმალნენ.

## საბერძნეთის ტური გადაიდო

**საბერძნეთის** მართლმადიდებლური ეკლესიის არქიეპისკოპოს ხრისტოდულოს გარდაცვალების გამო, დღეს გასამართი ტური არ შედგება. ქვეყანაში ოთხდღიანი გლოვაა გამოცხადებული და ფეხბურთისთვის არ სცალიათ. ფედერაცია მოგვიანებით დაადგენს თუ როდის გაიმართება მე-19 ტურის მატჩები. 69 წლის არქიეპისკოპოსმა უფალს სული ორშაბათს მიაბარა.

## ჯიმის ფეხები რედინგში

**მალის** ნაკრების და „ლანსის" ნახევარმცველი ჯიმი კები „რედინგმა" იყიდა. კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს, 24 წლის ფეხბურთელმა კი ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯიმი კები ამ სეზონის დასაწყისში „ლანსმა" მეორე დივიზიონის „ბულონს" ათხოვა და მანაც 16 მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. „ჩვენი სკაუტები დიდი ხანია, აკვირდებოდნენ მალელს და ვფიქრობ, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. იგი ორივე ფეხით კარგად თამაშობს და ნახევარმცველის კვალობაზე ბევრი გოლი გააქვს" — თქვა „რედინგის" სპორტულმა დირექტორმა ნიკ ჰამონდმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XXIX ტური**

**ლესტერი 1:0 კრ. პალასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 15 | 6 | 7 | 62:35 | 51 |
| ბრისტოლი | 29 | 14 | 9 | 6 | 36:34 | 51 |
| უოტფორდი | 28 | 14 | 6 | 8 | 45:36 | 48 |
| სტოკი | 28 | 12 | 11 | 5 | 46:35 | 47 |
| ჩარლტონი | 28 | 12 | 8 | 8 | 41:33 | 44 |
| კრ. პალასი | 29 | 11 | 11 | 7 | 36:28 | 44 |
| ბარნლი | 29 | 11 | 10 | 8 | 38:36 | 43 |
| იფსვიჩი | 28 | 11 | 8 | 9 | 45:37 | 41 |
| კარდიფი | 28 | 10 | 10 | 8 | 37:35 | 40 |
| ვულვზი | 28 | 10 | 10 | 8 | 26:26 | 40 |
| პლიმუთი | 28 | 10 | 9 | 9 | 36:31 | 39 |
| ჰალი | 27 | 10 | 8 | 9 | 33:32 | 38 |
| საუთჰემპტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 37:45 | 37 |
| შეფილდი | 28 | 9 | 8 | 11 | 31:33 | 35 |
| ლესტერი | 29 | 7 | 13 | 9 | 28:27 | 34 |
| ბლექპული | 29 | 8 | 10 | 11 | 36:37 | 34 |
| ბარნსლი | 28 | 8 | 10 | 10 | 34:41 | 34 |
| ქუინზ პარკი | 28 | 8 | 9 | 11 | 33:40 | 33 |
| ნორვიჩი | 28 | 8 | 8 | 12 | 27:35 | 32 |
| ქოვენთრი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:44 | 32 |
| უენსდი | 27 | 9 | 4 | 14 | 30:34 | 31 |
| პრესტონი | 28 | 7 | 6 | 15 | 27:36 | 27 |
| სკანთორპი | 29 | 6 | 9 | 14 | 28:45 | 27 |
| კოლჩესტერი | 27 | 5 | 11 | 11 | 39:46 | 26 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XVII ტური**

**მარიტიმუ 2:0 ბოავიშტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 13 | 2 | 2 | 28:7 | 41 |
| ბენფიკა | 17 | 9 | 6 | 2 | 29:10 | 33 |
| სპორტინგი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:15 | 30 |
| გიმარაეში | 17 | 8 | 4 | 5 | 20:21 | 28 |
| მარიტიმუ | 17 | 8 | 2 | 7 | 22:16 | 26 |
| სეტუბალი | 17 | 5 | 10 | 2 | 22:16 | 25 |
| ბრაგა | 17 | 6 | 6 | 5 | 19:20 | 24 |
| ბელენენსეში | 17 | 5 | 8 | 4 | 16:16 | 23 |
| ნასიონალი | 17 | 5 | 6 | 6 | 12:13 | 21 |
| ლეიშოეში | 17 | 3 | 10 | 4 | 16:18 | 19 |
| ბოავიშტა | 17 | 4 | 7 | 6 | 17:25 | 19 |
| ამადორა | 17 | 3 | 8 | 6 | 18:20 | 17 |
| აკადემიკა | 17 | 3 | 7 | 7 | 17:27 | 16 |
| ნავალი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:26 | 16 |
| ფერეირა | 17 | 4 | 3 | 10 | 15:24 | 15 |
| ლეირია | 17 | 1 | 5 | 11 | 13:27 | 8 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XXII ტური**

**ნანტი 0:1 ლე ავრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 21 | 12 | 7 | 2 | 37:18 | 43 |
| ნანტი | 22 | 12 | 6 | 4 | 33:18 | 42 |
| ტრუა | 21 | 10 | 8 | 3 | 29:19 | 38 |
| ბასტია | 21 | 10 | 6 | 5 | 31:19 | 36 |
| კლერმონი | 21 | 8 | 11 | 2 | 32:21 | 35 |
| გრენობლი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:23 | 34 |
| მონპელიე | 22 | 8 | 8 | 6 | 25:18 | 32 |
| ანჟერი | 22 | 8 | 8 | 6 | 21:19 | 32 |
| აიაჩო | 22 | 8 | 8 | 6 | 24:23 | 32 |
| სედანი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:24 | 30 |
| ბულონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25:31 | 27 |
| ბრესტი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:28 | 27 |
| გენგამი | 22 | 6 | 8 | 8 | 21:21 | 26 |
| რეიმსი | 21 | 7 | 4 | 10 | 24:34 | 25 |
| შატორუ | 22 | 5 | 8 | 9 | 21:26 | 23 |
| ნიორი | 22 | 6 | 4 | 12 | 20:26 | 22 |
| დიჟონი | 22 | 4 | 10 | 8 | 16:30 | 22 |
| ლიბურნი | 21 | 4 | 6 | 11 | 25:37 | 18 |
| ამიენი | 21 | 3 | 8 | 10 | 20:31 | 17 |
| გენიონი | 22 | 2 | 8 | 12 | 21:33 | 14 |

## თურქეთი

**სუპერლიგა. XX ტური**

**ბურსა 2:1 გენჩლერი**

**რიზე 0:4 ტრაბზონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 20 | 13 | 6 | 1 | 39:14 | 45 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 13 | 5 | 2 | 41:20 | 44 |
| სივა | 20 | 14 | 1 | 5 | 32:17 | 43 |
| ბეშიქთაში | 20 | 13 | 4 | 3 | 31:18 | 43 |
| ქაისერი | 20 | 9 | 8 | 3 | 30:17 | 35 |
| ოფთა | 20 | 7 | 6 | 7 | 22:20 | 27 |
| დენიზლი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:26 | 26 |
| ტრაბზონი | 20 | 7 | 4 | 9 | 27:25 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 6 | 7 | 7 | 21:27 | 25 |
| ქონია | 20 | 7 | 4 | 9 | 24:35 | 25 |
| გაზიანთეფი | 20 | 7 | 3 | 10 | 24:32 | 24 |
| ბურსა | 20 | 5 | 8 | 7 | 19:22 | 23 |
| ბუიუქშეჰირი | 20 | 5 | 6 | 9 | 24:27 | 21 |
| რიზე | 20 | 6 | 3 | 11 | 21:40 | 21 |
| ანკარა | 20 | 4 | 8 | 8 | 19:23 | 20 |
| მანისა | 20 | 5 | 5 | 10 | 26:33 | 20 |
| გენჩლერი | 20 | 4 | 6 | 10 | 25:31 | 18 |
| კაშიმპასა | 20 | 2 | 3 | 15 | 15:39 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როზერტო მანჩინიმ ირონია დაიხმარა

**მილანის** „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ცოტა ხნის წინ თქვა, პრესა გვებრძვისო. ახლა კი თვლის, რომ მსაჯებიც „ნერაძურის“ წინააღმდეგ არიან.

„მანჩო“ იმას გაულიზიანებია, რომ „იუვენტუსთან“ იტალიის თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩის 28-ე წუთზე მილანელებს ნიკოლა ბურდისო გაუძევეს; გასულ უქმეებზე „უდინეზესთან“ შეხვედრაში კი სეზარ აპარესიდო 21-ე წუთზე მიაბრძანეს მინდვრიდან. მან ორი ყვითელი ბარათის მიღება 30 წამში მოახერხა.

„ოთხშაბათს „იუვესთან“ თასის საპასუხო მატჩზე პირდაპირ 10 კაცით გავალთ მინდორზე, ეს ალბათ პრობლემას მოაგვარებს“ — ცინიკურად თქვა მანჩინიმ.

„ინტერმა“ ათი კაცითაც კარგად ითამაშა და მოგებაც შეეძლო. ფრის მიუხედავად, მანჩინიც კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის გარჯით, თუმცა უახლოეს მდევარ „რომასთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე შეუმცირდა.

„ყველაფრის გათვალისწინებთ, წაგების დიდი რისკი იყო, თუმცა ათი კაცითაც მოგებაზე ვთამაშობდით. ბიჭებს დიდი მადლობა გადავუხადე თავდადებისა და შემართებისთვის. არც ის დავივიწყოთ, რომ მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავდა, „უდინეზე“ ახლა ჩინებულ ფორმაშია“ — დასძინა მანჩინიმ.

სეზარი: „პირველი გაფრთხილება დამსახურებულად მივიღე, მაგრამ მეორე ეპიზოდში ნამდვილად ბურთზე ვითამაშე. მსაჯიც ყოყმანობდა და საბოლოოდ მცდარი გადაწყვეტილება მიიღო.“

„ვიტყოდი, რომ ჩვენი ჭიქა ნახევრად სავსეა და არა ნახევრად ცარიელი. ბიჭებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკეთ თამაშიც შეიძლებოდა კაცნაკლულ მეტოქესთან. თუმცა ინტერელები საოცრად გაისარჯნენ. „ნერაძური“ იმსახურებს პირველ ადგილზე ყოფნას“ — თქვა უდინელთა მწვრთნელმა პასკუალე მარინომ.

შეგახსენებთ, რომ „ინტერმა“ „უდინეზეს“ ვერც სერია A-ს მიმდინარე სეზონში მოუგო და ვერც — წინაში. მათი ბოლო ოთხი მატჩი ფრედ დასრულდა.

**გიორგი ძაძამაძე**

## ფიორენტინა გულანში შეცდა

**„ფიორენტინას“** ჭაბუკი სერბი ნახევარმცველი ნიკოლა გულანი „სამპდორიაში“ გადავიდა. ფეხბურთელი ბელგრადის „პარტიზანის“ აღზრდილია და „ფიორენტინას“ მზვერავებმა ექვსი თვის წინ, ბარსელონაში ბავშვთა ტურნირზე ნახეს და კლუბს ყიდვა ურჩიეს. „იებმა“ ბიჭი დეკემბერში შეიძინეს და გუნდთან ერთად შეკრებაზეც იახლეს, მაგრამ ვერ გაამართლა და „სამპდორიაში“ „მიასალეს“.

## სილვესტრე სიციალიაში

**„კატანიამ“** დაცვა არგენტინელით გააძლიერა. სიცილიურმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსიდან“ 23 წლის მატიას სილვესტრე სეზონის ბოლომდე ითხოვა. მცველის თამაშით კმაყოფილნი თუ დარჩებიან, ივნისში კონტრაქტსაც გამოისყიდიან. სილვესტრემ „ბოკაში“ 62 მატჩი ჩაატარა. იგი ამ დღეებში ჩავა კატანიაში და სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

## კუფურმა აიაქსი იპოვა

**„რომას“** მცველი სამუელ კუფური „აიაქსმა“ ითხოვა. განელი ფეხბურთელი იტალიაში 2005 წელს მიუნხენის „ბაიერნიდან“ გადავიდა, მაგრამ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ცოტა ხანს „ლივორნოში“ იყო განათხოვრებული და რომაელებმა შარშან დაიბრუნეს. 31 წლის კუფურს ლუჩანო სპალეტის გუნდში პერსპექტივა არ ჰქონდა, ცალკე ვარჯიშობდა და კლუბს ეძებდა.

## ნავარო ნაპოლის კარში

**„არგენტინოს ხუნიორსის“** მეკარე ნიკოლას ნავარო „ნაპოლიში“ გადავიდა. ნეაპოლელებმა მის სანაცვლოდ სამი მილიონი ევრო გადაიხადეს. 22 წლის ნავარო სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთ უნიჭიერეს მეკარედ ითვლება. მას 20-წლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატი (2005) მოუგია.

## შინჯი გუშინ გასინჯეს

**იაპონელი** ნახევარმცველი შინჯი ონო „ურავადან“ „ბოხუმში“ გადავიდა. 28 წლის ფეხბურელი იანვრის დასაწყისში გერმანულ კლუბთან ერთად შეკრებაზე იყო, ფეხი იტკინა, სამკურნალოდ სამშობლოში წავიდა და ახლა კვლავ „ბოხუმში“ დაბრუნდა. ონომ „ურავამდე“ ხუთი სეზონი როტერდამის „ფეიენოორდში“ გაატარა. იაპონელმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ამ უქმეებზე „ვერდერთან“ ალბათ ითამაშებს.

**გაგა ხუციშვილი**




**„ოსკარ დელ კალჩოს“** მეთერთმეტე ცერემონია კაკას ტრიუმფით დასრულდა. სერია A-ს ფეხბურთელებმა „მილანის“ ბრაზილიელი ვარსკვლავი 2007 წლის საუკეთესო ლეგიონერად და, ზოგადად, საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

საუკეთესო უცხოელის სახელის მოპოვებაში კაკას ფიორენტინელი ადრიან მუტუ და ინტერელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ეცილებოდნენ.

საუკეთესო იტალიელის წოდებისთვის ბრძოლაში „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ თანაგუნდელ დანიელე დე როსის და „მილანის“ ნახევარმცველ ანდრეა პირლოს აჯობა.

რიკარდო მონტოლივოს, ჯამპაოლო პატინისა და ჯუზეპე როსის შორის საუკეთესო ახალგაზრდად მონტოლივო აირჩიეს.

2007 წლის საუკეთესო მცველი მარკო მატერაცი გახდა, მეკარე — ანჯელო პერუცი, მწვრთნელი — ლუჩანო სპალეტი, ხოლო მსაჯი — რობერტო როზეტი.

ინტერელ მატერაცის ალესანდრო ნესტა და ფილიპ მექსეში ეცილებოდნენ, ფეხბურთიდან წასულ პერუცის — სებასტიან ფრეი და ჟულიო სეზარი, „რომას“ თავკაც სპალეტის — ჩეზარე პრანდელი და კარლო ანჩელოტი, ხოლო რობერტო როზეტის — რიცოლი და საკანი.

მეთერთმეტე ცერემონიალის სპეციალურ ნომინაციას — საუკეთესო საუკეთესოთა შორის — 1997 წლიდან 2007 წლამდე გამარჯვებულებიდან უნდა გამოევლინა ამ ჯილდოს მფლობელი და ეს პატივი რონალდოს ერგო.

**გიორგი ძაძამაძე**

# გოლი, რომელიც მოჰყვა კუთხურს და კუთხური, რომელიც არასწორად შესრულდა

## რა დააშავა პატარა ბიჭმა?

**„რომამ“** „პალერმოს“ ამანტინო მანსინის თავურით რომ მოუგო, სიცილიელთა პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ახლა გადათამაშებას მოითხოვს, ანაც „პალერმოს“ 0:3 მოგება ჩაეთვალოსო. ასე რომ, ამ საკითხზე უახლოეს დღეებში ალბათ ბევრი სალაპარაკო იქნება.

საქმე კი ის არის, რომ გოლი როდრიგო ტადეის კუთხურს მოჰყვა. კუთხურის ნიშნულთან კი ბურთი სწრაფად მიიტანა და დადო ერთ-ერთმა ბურთების მიმწოდებელმა ბიჭუნამ. ტადეიმაც უმალვე ჩააწოდა, პალერმოელები ხეირიანად მზად არ იყვნენ და გოლიც გავიდა.

„წესებს გადავხედე და იქ ნათლად წერია, რომ ბურთების მიმწოდებელმა ბიჭმა ბურთი ფეხბურთელს უნდა მისცეს. ჩვენ ლეგა კალჩოს მატჩის შედეგის გაუქმებას ვთხოვთ“ — თქვა ძამპარინიმ.

კალჩოს ისტორიაში ამგვარი ინციდენტი არასდროს განხილულა და შესაბამისად, მასზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. „რომას“ ბანაკში ამასთან დაკავშირებით მშვიდად არიან და თვლიან, რომ წესები არ დარღვეულა.

„ჩვენი საზრუნავი „ინტერთან“ 5-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრაა. „ინტერმა“ „უდინეზესთანაც“ დაამტკიცა, თუ რა ძლიერი გუნდია. ასე რომ, თუ გვინდა, მათ დავეწიოთ, სეზონის დარჩენილი მატჩები, ფაქტობრივად, უშეცდომოდ უნდა ჩავატაროთ“ — თქვა „რომას“ მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

როგორც იქნა, „ჯალოროსის“ დაუბრუნდა კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და ტოსკანელ სპეციალისტს მასზედაც ჰკითხეს. „ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს და ყველას გარჯა გვჭირდება. რასაკვრიველია, ძალიან მნიშვნელოვანია, გყავს თუ არა ტოტი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთამაშეებიც გვყავს: ლუდოვიკ ჟიული, სიმონე პეროტა, ამანტინო მანსინი და როდრიგო ტადეი“ — დასძინა სპალეტიმ.

**ძოძი ძანდელაძი**

# ორთავა ორი კვირით

**აი, უცნაური** ამბავი: როგორც „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ასტონ ვილასთან“ დიდი კონკურენციისა და უკეთესი ვაჭრობის წყალობით, „მიდლსბროსგან“ 28 წლის ჯონათან ვუდგეიტი შეიძინა და... გაარკვია, რომ დაშავებულია — ცენტრალური მცველი ორი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს. ერთი სიტყვით, ვუდგეიტს თურმე ორთავა კუნთი აწუხებს.

ამის გამგონე ლონდონელი გულშემატკივრები შიშობენ, რომ ვუდგეიტი მათთვის ახალი დარენ ანდერტონი იქნება — ანდერტონთან დაკავშირებითაც ასე იყო: ეს მოთამაშე როგორც კი „სფურზში“ გადავიდა, დაშავდა და ფაქტობრივად აღარ უთამაშია.

აღსანიშნავია, რომ „სფურზმა“ ვუდგეიტში „მიდლსბროს“ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

და, ლოგიკურად ისმის კითხვა: ნუთუ ტოტენჰემელებმა ახალ შენაძენს სამედიცინო შემოწმება არ ჩაუტარეს? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: კვირას ჩაუტარეს და ჯანმრთელად მიიჩნიეს.

კონტრაქტი, რომელიც ლონდონის კლუბმა ჯონათან ვუდგეიტს გაუფორმა, სამწელიწადნახევრიანია და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ორი წლით კიდევ გახანგრძლივდება. ფეხბურთელს არც ხელფასი აქვს მწირი: 65 ათასი გირვანქა კვირაში.

საქმე ის არის, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელი ხუანდე რამოსი დაცვის ცენტრში ლედლი კინგისთვის მეწყვილეს ეძებდა — ხვალ რამოსის ბიჭებს „ევერტონთან“ აქვთ თამაში და მასში მაიკლ დოუსონი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მიღებული წითელი ბარათის გამო ვერ ითამაშებს.




**პაპუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯდომით ფული აბა, რა ფულია

## როი მაკაიმ გაზეთი ყურიდან ყურში გაატარა

**როი რუდოლფუს ანტონიუს მაკაი ანუ როი მაკაი ის კაცია, რომელიც „ბაიერნის“ ისტორიაში ჩაეწერა. მაგრამ მიროსლავ კლოზესგან და ლუკა ტონისგან შევიწროვებული, შარშან „ბაიერნიდან“ აიბარგა და „ფეიენოორდში“ გადავიდა. 32 წლის ფორვარდმა ჰოლანდიის ჩემპიონატის 16 მატჩში უკვე თორმეტი გოლი მიითვალა და ჩანს, რომ ბუცები იქაც ძველებურად უჭრის. როი მაკაის fifa.com-ის კორესპონდენტი ესაუბრა.**



**— ათწლიანი განშორების შემდეგ, შარშან 32 წლისა ჰოლანდიაში დაბრუნდით და „ფეიენოორდის“ ფეხბურთელი გახდით. „დეპორტივოსა“ და „ბაიერნის“ მერე კარიერის სამშობლოში დასრულებაზე ფიქრობდით?**

— არა, ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2007-ში მეწურებოდა და თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ახალ კონტრაქტსაც გავაფორმებდი. მაგრამ ფეხბურთში ვითარება ზოგჯერ ისე უეცრად იცვლება, გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიიღო. „ბაიერნმა“ ორი დიდებული ფორვადი (კლოზე და ტონი) იყიდა და მივხვდი, რომ ჩემი დრო დასრულდა. ისინი ძირითად შემადგენლობაში იქნებოდნენ, მე კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და მუქთა ფულის აღება არ მსურდა. უცბად „ფეიენოორდის“ ვარიანტი გამოჩნდა და გარიგება მალე შედგა. ესპანეთშიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ როტერდამელებმა საქმე უმალ მოაგვარეს.

**— გული ხომ არ გწყდებათ, რიბერის, ტონისა და კლოზეს კომპანიაში რომ არ ხართ?**

— „ბაიერნიდან“ ჩემი ნებით წამოვედი და „ფეიენოორდში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ. გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ. რიბერიმ გუნდში ნაპერწკალი მიიტანა და სეზონიც საუცხოოდ დაიწყეს, თუმც ნოემბერ-დეკემბერში უკლეს და გვარიანი კრიტიკაც მიიღეს. „ბაიერნისგან“ ბევრს ელიან და საინტერესო იქნება, ჩემპიონატს როგორ დაასრულებს.

**— ყოფილ თანაგუნდელებთან და კლუბის შეფებთან კვლავაც მეგობრობთ?**

— რა თქმა უნდა. მეჰმეთ შოლის გასაცილებელ მატჩზე დამპატიჟეს და ფანებს მაშინ დავემშვიდობე. ძალიან ემოციური მომენტი იყო, რადგან ქომაგები ფეხზე წამომიდგნენ და ტაში დამიკრეს.

**— ოთხწლიან ბაიერნულ კარიერას თუ გადავხედავთ, პირველ-მეორე სეზონში ბრწყინვალე იყავით, მერე კი დაღმასვლა გქონდათ...**

— 110-ზე მეტი გოლი გავიტანე და ჩემზე უკეთესი შედეგი გერდ მიულერს აქვს. მხოლოდ ასეთ ლეგენდარულ ფეხბურთელს რომ ჩამორჩები, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ბოლო ორ სეზონში, განსაკუთრებით კი 2006-07-ში, თამაში არ წამივიდა, მაგრამ დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ. ისევ გულიანად ვშრომობდი.

**— ცნობილი ხართ იმითაც, რომ კრიტიკას ძალიან მშვიდად ხვდებით. რა არის თქვენი აუღელვებლობის მიზეზი?**

— გაზეთებს მუდამ ვკითხულობდი, მაგრამ კრიტიკისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია. ჩემთვის მწვრთნელების და თანაგუნდელების აზრია მთავარი.

**— ფსიქოლოგიურ ტვირთად ხომ არ დაგაწვათ ის ფაქტი, რომ „ბაიერნის“ ისტორიაში უძვირფასესი (20 მილიონი ევრო) შენაძენი გახდით?**

— არა. დაახლოებით იგივე იყო „ტენერიფიდან“ „დეპორტივოში“ გადასვლისას. მაშინაც „დეპორის“ ისტორიაში ერთ-ერთ ძვირფას ფეხბურთელად ვიქეცი, მაგრამ მოედანზე გასვლისას საკუთარ ფასზე კი არ უნდა იფიქრო, არამედ საუკეთესო თვისებები უნდა გამოავლინო და ბოლომდე დაიხარჯო.

**— „ფეიენოორდი“ წლეულს ასწლოვან იუბილეს აღნიშნავს და შარშან თქვენთვის და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისთვის ფული არ დაინანა. გრძნობთ, რომ ეს განსაკუთრებული სეზონია კლუბისთვის?**

— „ფეიენოორდის“ შეფებმა ძლიერი გუნდის გაკეთება მოიწადინეს და გვარიანი თანხაც დახარჯეს, რადგან უიბილეზე ჩემპიონობა სურთ. პსვ-ს ექვსი ქულით ჩამოვრჩებით და მეოთხე ადგილზე ვართ, მაგრამ პირველობის შანსი ჯერ გვაქვს. ეს სეზონი განსაკუთრებულია და ჩემგან და ჯოვანისგან უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე დანარჩენებისგან, თუმც ამის გამო არ ვნერვიულობ. უკვე თორმეტი გოლი გავიტანე და ეს ურიგო შედეგი არაა.

**— ყველაზე სასიამოვნო მოგონება?**

— ალბათ ჩემპიონობა „დეპორტივოში“. გუნდისთვის ეს იყო პირველი ოქრო ისტორიაში და ამდენად, დაუვიწყარი. ასევე არასოდეს დამავიწყდება 2003 წელი, როცა „ოქროს ბუცით“ დამაჯილდოვეს.

# შენ წახვედი!

**როგორც** იცით, „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპზე გადაეყარნენ. ჰოდა, ამ ამბავს ლონდონელთა ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი, აბა, ხელიდან როგორ გაუშვებდა. მან დაუყოვნებლივ გააჩაღა „იუნაიტედის“ თავკაც ალექს ფერგიუსონთან ეგრეთ წოდებული ნერვებისა თუ გონების თამაში — ინგლისელები ამას mind games უწოდებენ.

კერძოდ რა თქვა ბატონმა ვენგერმა? მან განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ გასულ კვირაში საუდის არაბეთში კომერციულ თამაშზე გამგზავრებას აუცილებლად მწარედ ინანებს.

„როდესაც სხვა ქვეყანაში მიემგზავრები ყურადღება გეფანტება და სხვა ნოტაზე ეწყობი — თქვა „მეთოფეთა“ თავკაცმა — ასეთმა მოგზაურობამ შესაძლოა, ძალიან ცუდი შედეგები მოგცეს“.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ საუდელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთ ბენეფისში მონაწილეობისთვის 800 ათასი გირვანქა გადაუხადეს, თუმცა ვენგერს სწამს, რომ სეზონის მსვლელობისას ამგვარ მოგზაურობაში არანაირი ფულის საფასურად არ უნდა გაემგზავრო.

მართალია „არსენალის“ თავკაცი? აბა, რა გითხრათ, საუდეთიდან დაბრუნების შემდეგ ხომ „მანჩესტერმა“ კვირას, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ მოუგო.

**პაპუნა ძიძია**

## მოტეხილს ევერტონი გაამთელებს

**„ესპანიოლმა“** სარაგოსადან“ ოთხი თვით ევერტონი ითხოვა. 26 წლის ბრაზილიელი ფორვარდი 2005-ში „შტუტგარტმა“ „სარაგოსას“ დაუთმო. ფეხბურთელმა პირველ სეზონში გაამართლა, მაგრამ მერე უკლო. „ესპანიოლის“ მთავარმეგოლემ და კაპიტანმა რაულ ტამუდომ ერთი კვირის წინ ხელი მოიტეხა და გუნდს ორი თვით დააკლდება. იგი ევერტონმა უნდა შეცვალოს.

## თავდასხმა პრეზიდენტზე

**„ლაციოს“** პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო „ტორინოს“ ფანს კინაღამ შემოელახა. კვირას, ამ გუნდების მატჩის პირველი ტაიმისას, ლოტიტოსკენ ტურინელმა ქომაგმა საცემად გაიწია და პოლიციამ უმალ „გაბაწრა“. გულშემატკივარი თურმე იმის გამო გაბრაზებულა, რომ „ტორინოს“ „სიტიდან“ რონალდო ბიანკის ყიდვა უნდოდა და „ლაციომ“ დაასწრო, ცხვირწინ ააცალა. შეშინებული პრეზიდენტი ტრიბუნიდან ლოჟის სიღრმეში გადაბრძანდა და ფეხბურთის ყურება იქიდან გააგრძელა.

## ვიქტორია და სილვას დაეყრდნო

**პლზენის** „ვიქტორიამ“ მეორე დივიზიონის „ტრინეციდან“ ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი პაულ როდრიგეს და სილვა იყიდა. 21 წლის ფეხბურთელმა ჩეხურ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა. მას „ტრინეცამდე“ „სან პაულუში“, „პალმეირასსა“ და „პარანაში“ უთამაშია. „ვიქტორია“ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა.

## კონკაკაფის ჩემპიონთა ლიგა

**კონკაკაფი** (კარიბის ზღვის ქვეყნების, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) საკუთარ ჩემპიონთა ლიგას ქმნის. შესარჩევი ტურნირი აგვისტოში გაიმართება, ხოლო ფინალური ეტაპი — 2009 წლის აპრილში. ძირითად ბადეში პირდაპირ მოხვდებიან აშშ-ის და მექსიკის ორ-ორი, სალვადორის, ჰონდურასის, კოსტა-რიკისა და გვატემალის თითო-თითო კლუბი. გამარჯვებული ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

## ოტლი იბრძოლებს

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ნახევარმცველმა ანდრეას ოტლმა კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. ძველი ხელშეკრულების ვადა ფეხბურთელს ამ ზაფხულს ეწურებოდა, მაგრამ შეფები მისით კმაყოფილნი არიან და ამიტომაც დაიტოვეს. პირველ წრეში ოტლმა შვიდ მატჩში ითამაშა, სულ კი ბუნდესლიგაში 39 თამაში დაუგროვდა. „ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება იოლი არ იქნება, რადგან ზე რობერტო და მარკ ვან ბომელი კარგ ფორმაში არიან, მაგრამ ვიბრძოლებ“ — თქვა 22 წლის ნახევარმცველმა.

## კონკურენტებმა დაცვა გააძლიერეს

**„პანათინაიკოსმა“** დაადასტურა, რომ „პანიონიოსიდან“ ნაკრების მცველი ნიკოს სპიროპულოსი შეიძინა და ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა. გარიგების ფასი უცნობია. „პანათინაიკოსის“ კონკურენტმა „ოლიმპიაკოსმა“ კი „პორტუგეზადან“ ლეონარდო ჟეზუს ჯერალდო გადაიბირა და ბრაზილიელ მცველს ხუთწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი.

## ედერსონი ნიცადან ლიონში

**საფრანგეთის** ჩემპიონი „ლიონი“ „ნიცას“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ედერსონს ყიდულობს. კლუბები თითქმის მორიგდნენ და ფეხბურთელიც „ლიონში“ გადასვლაზე ყაბულსაა. ედერსონის კარგი თამაშის წყალობით „ნიცა“ მეოთხე ადგილზეა. გასულ შაბათს მან „ტულუზს“ სტუმრად გაუტანა (1:1) და ნიცელები მარცხისგან იხსნა. ედერსონით შარშან „რეალი“ და „იუვეც“ იყვნენ დაინტერესებულნი.

## თოფს მგელი მოსწონს

**„ვოლფსბურგის“** ბოსნიელ ფორვარდ ედონ ძეკოს „არსენალის“ სკაუტები აკვირდებიან. „მეთოფეთა“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ბორო პრომორაკმა განაცხადა, რომ ძეკოს პროგრესი აშკარაა. „გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ვიყიდით, მაგრამ ბიჭი დღითი დღე უფრო და უფრო უმატებს და სწორედ ისეთი ფორვარდია, რომელსაც პრემიერლიგის ფეხბურთთან შეგუება არ გაუჭირდება“.

## 55 ჰერტასთვის

**სოფიის** „ლევსკის“ თავდამსხმელი ვალერი დომოვჩიისკი ბერლინის „ჰერტაში“ გადადის. ფეხბურთელმა ბუნდესლიგის გუნდთან ერთად კვირაზე მეტხანს ივარჯიშა და მწვრთნელს თავი მოაწონა, სამედიცინო შემოწმება ორშაბათს გაიარა და, კლუბების განცხადებით, კონტრაქტი დღეს ან ხვალ გაფორმდება. დომოვჩიისკიმ „ლევსკიში“ 122 მატჩში 55 გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# თავი ფეხებზე მეტია!

„ელ პერიოდიკო დე კატალუნიაში" იოჰან კრუიფის მორიგი სტატია გამოქვეყნდა. ლეგენდარული ჰოლანდიელი ხსენებულ გაზეთთან თანამშრომლობს და ესპანური თუ მსოფლიო ფეხბურთის შესახებ თავის აზრს გამოთქვამს.

როდესაც საუბარი ტრანსფერებზე ჩამოვარდება, ყოველთვის ვარსკვლავებზე ფიქრობენ. მაგრამ ბრწყინვალება თავდადებაში არ უნდა აგვერიოს. გუნდი ხომ ისე ფუნქციონირებს, როგორც კოლექტივი. პირადად ჩემთვის არაფრის მაქნისი, გაფხორილი ვარსკლავი გუნდისთვის ნამდვილი კოშმარია.

რომელ ფეხბურთელს შეიძენდი შენი გუნდისთვის? ამ შეკითხვის არსში ხაფანგია ჩადებული. იმიტომ რომ მეკარე და ცენტრალური თავდამსხმელი ერთი და იგივე არ არის. ნახევარმცველს ვყიდულობთ? ძალიან კარგი. და რა ტიპის ნახევარმცველს? ფეხბურთელი, რომელიც მეტოქეს ბურთს ჰპარავს თუ თავისიანებში პასებს არიგებს? კაცს, რომელსაც შორიდან უძლიერესი დარტყმა აქვს, თუ ჩვენს ცენტრალურ მცველებთან ახლოს იბრძვის? და ფლანგები? განაპირაფლანგელი ჯობს, ვინც შეტევაში მოედნის სიღრმიდან ერთვება? და მარტო ერთი? ალბათ უფრო ორის შეძენა აჯობებს. ჰოო, კიდევ, რა თქმა უნდა, თავდამსხმელი გვჭირდება. მაგრამ რა ტიპის? იმათი „ჯიშისა" ხომ არა, ვინც ბურთს დიდხანს ინარჩუნებს, მეტოქის დაცვას აბნევს და შემდეგ საგოლე გადაცემას აკეთებს? იქნებ უფრო პატარა ტანისა და სწრაფი ფორვარდის შეძენა ჯობდეს, საჯარიმოში ტყვიასავით რომ შევარდება ხოლმე. მოიცადეთ, საერთოდაც ყველა ამ თვისების მატარებელი მოთამაშე ხომ არ მოგვეყვანა გუნდში? და თუ ეს სუპერმენი მსოფლიოში უკვე არქიცნობილი კაცია, ხომ კარგი და მთლად უკეთესი...

ახლა ცოტა სხვანაირად დავსვათ შეკითხვა — ვის შეიძენდი შენი გუნდისთვის? აქ ინჯინერება არაფერს და არამც არ ივარგებს. ჯერ უნდა დაკვირვებით შეხედო, გუნდში ვინ გყავს და ვინ გაკლია. ისიც უნდა გაიხსენო, რა სათამაშო სტილს მისდევ და, რა თქმა უნდა, თავდადების და გარეგნული ბრწყინვალების ერთმანეთში არევის არავითარი უფლება არ გაქვს. ერთია, როცა მოედანზე ვინმე სახელგანთქმული მნათობი დადის და, საქმის შედეგიანად კეთება კი მეორე. აი, ამ მეორეს ყოველთვის უფრო დიდი ყურადღება ექცევა. ის, ბირველი, ანუ მნათობი, ტიტულებს გაგებინებს, ან, უარეს შემთხვევაში, ტიტულით მოგებინებს შანსს და, თუ ბრწყინვალება შრომისმოყვარეობას შეუჯვარდა, შესანიშნავი ამბავია. ოღონდ ასეთი გამართლება ფეხბურთში მწირია.

ჩემთვის მინდორზე „თავისუფალ მსროლელს" გროშის ფასი აქვს. აბა, ეგოისტი რაში უნდა გამოგადგეს? გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ვიტყვი, რომ ერთი ფეხბურთელი, თუნდაც სუპერვარსკვლავი, გუნდს მარტო მცირე მანძილზე „ათრევს" და მერე თავადაც ხიჭა ეცლება. საერთო ჯამში, მხოლოდ ერთი მობურთალის ოსტატობაზე ჩამოკიდებული კლუბები მალე კისერს იტეხენ, რადგანაც ფეხბურთი გუნდური თამაშია და ნანატრი ჯილდოც მხოლოდ გუნდურობით თუ მიიღწევა. ამიტომაც ვთქვი, რომ შეკითხვაში, თუ რომელ ფეხბურთელს შეიძენდით, ხაფანგია დაგებული. სატრანსფერო პოლიტიკა ძნელი საქმეა, ორისამი კაცის შემომატებით ვერ აშენდები.

და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელთა მრავალგვარი ტიპი არსებობს. თავიდან ბრწყინვალე მოთამაშეები კი არ გჭირდება, არამედ ისეთები, რომლებიც ამ ბრწყინვალეებს დაეხმარებიან. მე „ბარსელონაში" მწვრთნელობის დროს გუნდში სტოიჩკოვი, ლაუდრუპი და რომარიო მყავდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ნაკლებად კაშკაშა, თუმცა არანაკლებ სტაბილური ეუსებიო საკრისტანის იმედიც უნდა მქონოდა. ყველას თავისი როლი ჰქონდა, ყველა თავის საქმეს ასრულებდა, მაგრამ „დრიმ თიმს" გამოკვეთილი ფორმა სწორედ ეუსებიოსნაირმა ფეხბურთელებმა მისცეს. ისინი ყოველთვის მზად იყვნენ, ბოლომდე თავგანწირვით ებრძოლათ უფრო ნიჭიერთა სასარგებლოდ.

არის ხალხი, რომელიც კლუბისთვის არც თუ ისე სახარბიელო დღეებში სხვებს მაგალითს აძლევს. „მილანისთვის" ასეთი კაცი პაოლო მალდინია. ცხადია, დღევანდელი „მილანის" მთავარი ვარსკვლავი კაკაა და არა მალდინი, მაგრამ პაოლოსნაირი ერთგული და სტაბილური ტიპები თანაგუნდელებს ყველა დროში შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმისკენ მოუწოდებდნენ.

ახლა რაული გამახსენდა და გეტყვით, რომ მადრიდის „რეალის" კაპიტნის მსგავსი ფეხბურელები, კარგ ფორმაში არიან თუ არა, ჩემში ყოველთვის აღფრთოვანებას და პატივისცემას იმსახურებენ.

ასეთია ჯანლუიჯი ბუფონიც „იუვენტუსში". როცა „იუვე" სერია B-ში დააქვეითეს, დარწმუნებული ვარ, უამრავი უცხოური კლუბისგან მიიღო სატრანსფერო შეთავაზება, მაგრამ ჯიჯიმ ტურინელთა ერთგულება არჩია. ბუფონის საქციელი ლახვარია იმათთვის, ვინც ამტკიცებს, თანამედროვე, ფულით მართულ პროფესიულ ფეხბურთში კლუბისადმი ერთგულება გაქრაო. აბა, ბატონებო, ჯანლუიჯი ბუფონის მაგვარი ტურინელობა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ...

ვარსკვლავის იარლიყს ამა თუ იმ მოთამაშეს ადვილად მიაწებებენ ხოლმე, მაგრამ ჩემთვის კარგად, ან ძალიან კარგად თამაში ჯერ ვარსკვლავობას არ ნიშნავს, იმიტომ რომ თავი ფეხებზე უფრო მნიშვნელოვანია. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა იმასაც აქვს, მოედნის მიღმა როგორ იქცევა ფეხბურთელი. ეს გაძლევს გარანტიას იმისა, რომ ხანგრძლივი კარიერა გექნება, განსაკუთრებული რყევების გარეშე. ბევრი ბრაზილიელისგან განსხვავებით, კაკა ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და იმიტომაც არის, დღევანდელ სიმაღლეებს რომ მიაღწია. ვნახოთ, დროთა განმავლობაში მესი და კრიშტიანუ რონალდუ როგორ მოიქცევიან. დღეს კი ისინი სწორ გზას ადგანან.

მესი და რონალდუ ნიჭით ჰგვანან ერთმანეთს და ორივემ აშკარად მოუმატეს იმ პერიოდთან შედარებით, როცა „ბარსელონაში" და „მანჩესტერში" თამაში დაიწყეს. მათი თავდაპირველი, სანახაობაზე აგებული თამაში დღეს გუნდისთვის აუცილებელ დახმარებაში გადაიზარდა. მესის და კრიშტიანუ რონალდუს გოლებიც გააქვთ და თანაგუნდელებსაც ამარაგებენ საგოლე პასებით. თავადაც ლაზათიანად თამაშობენ და სხვებსაც აძლევენ ამის საშუალებას. ამ ბიჭებმა თანაგუნდელებს საქმის კეთების შანსი მისცეს და აი, შედეგიც — ლეოც და კრიშტიანუც დიდი ფეხბურთელები არიან.

მეკარეთა ერთმანეთთან შედარება კი უკვე სხვა ისტორიაა. მაგალითად, „რეალის" წარმატება ძირითადად ორ რამეს ეფუძნება — გოლზე დაგეშილ სახიფათო ფორვარდს (რუუდ ვან ნისტელროი) და საიმედო მეკარეს.

იკერ კასილიასი უკეთესია თუ ვიქტორ ვალდესი? მეკარეს გარჯა მოეთხოვება, მისი გარჯა კი ბურთების მოგერიებაა, რასაც ქულები მოაქვს. ამაში ორივენი ძლიერები არიან, მადრიდელიც და ბარსელონელიც. სანახაობრივი თვალსაზრისით კასილიასი უკეთესად თამაშობს? მართალია, მაგრამ მეკარე თავისი შედეგიანობით ფასდება და არა ეფექტებით. აი, აქ ვიქტორსა და იკერს შორის ანგარიში თანაბრდება. და თუ კასილიასი უფრო ბრწყინავს, უფრო მეტ სპექტაკლს დგამს, ამისი ახსნა არ უნდა გაგვიძნელდეს — უბრალოდ, მადრიდის „რეალის" კარში მეტოქეები უფრო მეტჯერ ურტყამენ.

სხვა სუბიექტურ დეტალებს კი ნულარ გამოვეკიდებით — აბა, მეკარისთვის სიმპათიურობა და გარეგნული შარმი რისი მაქნისია, თუ მოედანზე ძირითადი საქმე არ გააკეთა? კასილიასიც და ვალდესიც ამ საქმეს სრულყოფილად ასრულებენ, თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ ისინი ორი აბსოლუტურად განსხვავებული გუნდის, „რეალის" და „ბარსელონას" მეკარეები არიან. მაშინ როცა მადრიდელს იერიშის იერიშზე მოგერიება უხდება, ბარსელონელის კართან მეტოქეთა ფორვარდები მომენტებს უფრო მწირად ქმნიან. „რეალში" კასილიასის ზედმეტი ჯაფა კი დაცვის არასწორი სტრატეგიის შედეგია და არა თავად მცველების. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**



იკერ კასილიასი



პაოლო მალდინი



ვიქტორ ვალდესი

# სიგანდამ სევილიას სამარე გაუმზადა

## ანდალუზიაში ნავარელის სიმხეცეს ვერ იჯერებენ



**მსაჯმა** იტურალდე გონსალესმა „სევილია“-„ოსასუნას“ მატჩი წითელ-ყვითელი ბარათების შლეგურად ფრიალით დალუპა და ნავარელთა მწვრთნელი ხოსე ანხელ სიგანდა გადარია. ეს ჯახი პრიმერადივიზიონის 21-ე ტურში „სანჩეს პისხუანის“ არენაზე შედგა და ფიცხმა სიგანდამაც — სიკვდილი იტურალდეს და „სევილიასო“ — შესძახა თურმე.

სულ 13 ბარათი მოიხმარა არბიტრმა და აქედან 9 შემთხვევაში „ოსასუნას“ ფეხბურთელები დაისაჯნენ.

ნავარელთა ხოსეჩო და ხავი გარსია კი საერთოდ „გაწითლებულები“ მიაბრძანეს მოედნიდან... ხავი გარსიამ თავისი მეორე ყვითელი მატჩის 90-ე წუთზე მიიღო, როცა იტურალდემ დაუჟინა, საჯარიმოში ხელით განზრახ ითამაშეო (არადა, ეს არ მომხდარა). პენალტი „სევილიას“ ბრაზილიელმა ლუიშ ფაბიანუმ დაარტყა და ანდალუზიელებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოაგებინა.

შეხვედრის მსვლელობისას ლანძღვა-გინება და მუშტებით ერთმანეთზე გაწევა მრავლად იყო, მაგრამ მთავარი თვალსასეირო მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ დაიწყო. ფეხბურთელებს მოედანი არ მიუტოვებიათ, საქმეს არჩევდნენ და ერთ-ერთ ცეცხლმოკიდებულ ეპიზოდში ადრიანომ ნავარელ ასპილიკუეტას გასაგრილებლად წყლით სავსე ბოთლი სთხლიშა თავში... ამან გადარია „ოსასუნას“ ფიზმომზადების მწვრთნელი ანდონი გოიკოეჩეა, რომელიც, ადრიანოს გასათელად გავარდნილი, სტადიონის დაცვის ზორბა ბიჭებმა რის ვაივაგლახით გააკავეს.

„არ ვიცი, იმ მომენტში რა დამემართა. თუ ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე, ბოდიშს ვუხდი. სულაც არ მინდა, იტურალდე გონსალესმა და „სევილიას“ ფეხბურთელებმა პირუტყვად ჩამთვალონ“ — ეს უკვე ხოსე სიგანდას მატჩისშემდგომი მონანიებაა. რასაც ესპანური პრესა წერს, თუ ყველაფერი მართალია, ამ ჯეელს უეჭველად საბოდიშოდ აქვს საქმე — სიგანდა მოედანზე გაცოფებული დარბოდა და მსაჯს და სევილიელებს სიკვდილით ემუქრებოდა.

„რაღაც არ მგონია, „კუკო“ სიგანდა ასე გადარეულიყო. ვფიქრობ, სტადიონზე მისი ნათქვამი არასწორად გაიგეს“ — განაცხადა თამაშის მეორე დღეს მონჩიმ, „სევილიას“ სპორტულმა დირექტორმა.

**ლადო ხომერიკი**



# პატოს შევაც შემხმიანა

**ალექსანდრე პატოს** საქმეები კარგად მიდის. სადებიუტო მატჩში გატანილი გოლის მერე მან დუბლი მიითვალა „ჯენოასთან“ და მატჩის გმირად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე რეალური შანსიც გააცუდა.

„ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და მოვიგეთ. ტაქტიკურ მონახაზებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან სერია A ძალიან რთულია. არც ლაპარაკია ჩემი საქმე. სათქმელს მინდორზე ვამბობ. მიხარია, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავების მხარდამხარ მიწევს თამაში“ — თქვა 18 წლის „იხვმა“.

„პატო ძალიან ახალგაზრდაა და ბუნებრივიცაა, რომ ბოლო ფაზაში ჯერჯერობით უშეცდომო არ არის. ეს ყველაფერი გამოცდილებასთან ერთად მოდის. მთავარია, რომ იგი მართლაც ძალიან ნიჭიერია. „ჯენოასთან“ პირველი ტაიმი ცუდად ჩავატარეთ, ზედმეტად ნელა ვმოძრაობდით, თუმცა მეორე ნახევარში ხარვეზები გამოვასწორეთ. პატო პირველად თამაშობდა გამოკვეთილ თავდამსხმელად. მას მეორე ფორვარდად უყვარს თამაში“ — განაცხადა „როსონერის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„ჯენოასთან“ სათადარიგოთა სკამიდან მინდორს დაუბრუნდა და საკმაოდ კარგად ითამაშა მასიმო ოდომ. „ლაციოს“ ყოფილი მცველი „მილანში“ გადასვლის მერე საკუთარ აჩრდილს ჰგავდა. 31 წლის ფეხბურთელს კრიტიკოსებიც არ აკლდა.

მასიმო ოდო: „ვფიქრობ, ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო მიმდინარე სეზონში. შეტევებშიც ხშირად ვერთვებოდი და დაცვაშიც კარგად ვითამაშე. ძალიან კმაყოფილი ვარ და იმედია, რთული პერიოდი უკან მოვიტოვე“.

პატოს კარგ თამაშს „მილანის“ ყოფილი ლიდერი ანდრეი შევჩენკო გამოეხმაურა. როგორც იცით, ლონდონის „ჩელსიში“ უკრაინელს საქმეები ვერ აეწყო და იგი პერიოდულად მისტირის ხოლმე იტალიას და „როსონერის“.

„პატო ძალიან მაგონებს ჩემს თავს, რადგან მასაც მოედნის სიღრმიდან უყვარს შეტევა და გამოკვეთილი ფორვარდი არ არის. თითქმის ყველაფერში ერთნაირი სტილი გვაქვს. მის ასაკში მეც ძალიან სახიფათო ვიყავი და ამასთანავე, ბევრ მომენტს ვაფუჭებდი, მაგრამ გავიდა დრო, მივიღე გამოცდილება და დავიხვეწე. თან ალექსანდრეს გაუმართლა, რომ ასე ახალგაზრდა მივიდა „როსონერიში“ და გარშემო ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს. მისნაირი მოთამაშე „მილანს“ აკლდა, ახლა კი ყველაფერი კარგადაა. ჩემსავით, პატოც აუცილებლად ჩაწერს კლუბის ისტორიაში კიდევ ერთ წარმატებულ ფურცელს. მე კი სიამოვნებით ვიგონებ იტალიაში გატარებულ 7 ბრწყინვალე წელს. ყველაზე რთული სეზონებიც კი სასიამოვნო იყო. მიყვარს „მილანი“ და იტალია, იქ ძალიან ბევრი რამ მივიღე“ — განაცხადა „შევამ“.

**ძოძი ძანდელაძე**

# დააბნიეს კაცი

**„ნიუკასლ იუნაიტედის“** მწვრთნელი კევინ კიგანი დაიბნა. ახალდანიშნულსა და „კაჭკაჭთა“ მესიად შერაცხულს წარმოდგენა არ აქვს, რა თქვას მის ასისტენტად დენიზ უაიზის დანიშვნის შესახებ. თან, უცნაური ის არის, რომ „იუნაიტედის“ მეპატრონემ მაიკ ეშლიმ უაიზი ზუსტად იმის მეორე დღეს მიუყვანა, რაც კაგანმა ახალი ფეხბურთელების საყიდლად 100 მილიონი გირვანქა სთხოვა — რა უნდოდა და რა მიიღო...

ეშლის გეგმის თანახმად, კიგანი გუნდს მიხედავს, ფეხბურთს ათამაშებს, უაიზი კი ინგლისსგარეთა ტრანსფერებზე იმუშავებს. მოგეხსენებათ, დენის უაიზი „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელი იყო და „ნიუკასლში“ ალზევების ეშხით თანამდებობა დატოვა.

დაბნეული კიგანი: „იძულებული ვარ გამოგიტყდეთ, რომ წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება ჩემს გარშემო. ნამდვილად არ ვფლობ საკმარის ინფორმაციას და ამიტომ ჩემი მხრიდან რაიმეს შეფასება სრული უაზრობაა. მე რა ვიცი, ის, რაც მოხდა, სწორი იყო თუ არასწორი?“

არადა, „ნიუკასლ იუნაიტედმა“ წინა საღამოს დაიჩემა და მთელს ქვეყანას მოსდო, რომ კიგანმა უაიზის დანიშვნის ამბავი იცოდა. მეტიც, „კაჭკაჭების“ თავმჯდომარე კრის მორტი აცხადებდა, რომ უაიზის „ნიუკასლში“ მიყვანა კიგანის წინ წამოწევის დიდი გეგმის განცხადებული ნაწილი იყო.

ცნობისთვის: დენის უაიზი წელიწადში 3 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო „ნიუკასლ იუნაიტედი“ და „ლიდს იუნაიტედი“ სატრანსფეროდ 1 მილიონზე გარიგდნენ.

„ლიდსის“ განცხადებაში წერია: „ნიუკასლელებმა დენის უაიზთან დალაპარაკების ნებართვა პარასკევს გვთხოვეს, დანარჩენი კი ძალიან მალე მოხდა“.

ლიდსელთა თავმჯდომარემ კენ ბეიტსმა კი თქვა:

„პრინციპში, უაიზის „ნიუკასლში“ წასვლას მაინცდამაინც არ გავუკვირებივარ, ოღონდ ერთია, იმთავითვე დანამდვილებით შემეძლო განმეცხადებინა, რომ სანამ ყველაფერი ოფიციალურ სახეს არ მიიღებდა და საკომპენსაციო თანხას არ გადაგვიხდიდნენ, მწვრთნელს არსად გავუშვებდით. დენისს ჩვენთან ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა, ასე რომ თუ პარტნიორები უკეთეს პირობებს შესთავაზებდნენ და ჩვენც დამაკმაყოფილებელ კომპენსაციას გადაგვიხდიდნენ, ცხადია, დავთანხმდებოდით. შემდეგ დენისმა ხანმოკლე თანამშრომლობის გამო დიდი წუხილი გამოთქვა, მაგრამ აგვიხსნა, რომ ასეთ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა. მართლაც, ფეხბურთი ისეთი სფეროა, თუ ადამიანს პირობების გაუმჯობესების საშუალება ეძლევა, ხელი არ უნდა შეუშალო. ნიუკასლელებმაც განაცხადეს, რომ მოხიბლულები არიან იმ სამუშაოთი, რომელიც დენისმა „ლიდს იუნაიტედში“ მოკლე ხანში გაწია“.

**პაპუნა ძიძია**



კევინ კიგანი



დენის უაიზი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 4 | დერბი-სიტი | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| 23:45 | 7 | ჩელსი-რედინგი | 1.20 | 5.70 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 23:45 | 9 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 11 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.00 | 3.20 | 1.90 | 1.77 | 1.28 | 1.19 |
| 23:45 | 13 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.25 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.52 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 81 | ჰერეფორდი-ბარნეტი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 108 | ალტრინჰემი-უოკინგი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 130 | მოზერუელი-სელტიკი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 141 | ჰანზა-ბაიერნი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 143 | კოტბუსი -ლევერკუზენი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 18:30 | 145 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 18:30 | 146 | დუისბურგი-დორტმუნდი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:30 | 147 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 18:30 | 149 | ჰერტა-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 18:30 | 150 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 151 | შალკე-შტუტგარტი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 20:00 | 152 | ვერდერი-ბოხუმი | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 154 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 21:00 | 155 | ვეენი-ჰოფენჰაიმი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 21:00 | 156 | კიოლნი-ზტ.პაული | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 157 | კობლენცი-მაინცი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 17:00 | 158 | მიუნხენი 1860-აუგსბურგი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 17:00 | 159 | ფიურტი-აუე | 1.60 | 3.40 | 5.10 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 17:00 | 160 | ოფენბახი-პადერბორნი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 17:00 | 161 | ფრაიბურგი-ოსნაბრიუკი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 162 | კარლ ცაისი-ალემანია | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 20:45 | 609 | სიონი-გრასჰოპერი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:45 | 610 | ციურიხი-თუნი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 611 | აარაუ-სტ.გალენი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 612 | ქსამაქსი-ლუცერნი | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 613 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 606 | რეჯინა-მილანი | 7.00 | 3.50 | 1.50 | 2.33 | 1.23 | 1.04 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 168 | პალერმო-ლივორნო | 1.60 | 3.20 | 5.70 | 1.06 | 1.24 | 2.04 |
| 23:30 | 174 | ნაპოლი-უდინეზე | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 163 | იუვენტუსი-კალიარი | 1.15 | 5.60 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.07 |
| 18:00 | 165 | ჯენოა-კატანია | 1.85 | 2.90 | 4.60 | 1.12 | 1.31 | 1.77 |
| 18:00 | 166 | ინტერი-ემპოლი | 1.15 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.25 |
| 23:30 | 169 | ფიორენტინა-მილანი | 2.90 | 3.00 | 2.35 | 1.47 | 1.29 | 1.31 |
| 18:00 | 170 | სიენა-რომა | 5.70 | 3.30 | 1.60 | 2.08 | 1.24 | 1.07 |
| 18:00 | 172 | ლაციო-სამპდორია | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 18:00 | 173 | რეჯინა-ტორინო | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 18:00 | 175 | პარმა-ატალანტა | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 176 | ალბინოლეფე-ვიჩენცა | 1.45 | 3.40 | 7.40 | 1.01 | 1.21 | 2.32 |
| 19:00 | 177 | მანტოვა-აველინო | 1.45 | 3.40 | 7.85 | 1.01 | 1.22 | 2.37 |
| 19:00 | 178 | ტრიესტინა-კიევო | 3.20 | 2.70 | 2.30 | 1.46 | 1.33 | 1.24 |
| 19:00 | 179 | ბრეშა-გროსეტო | 1.40 | 3.50 | 8.40 | 1.00 | 1.20 | 2.47 |
| 19:00 | 180 | ტრევიზო-ლეჩე | 3.10 | 2.80 | 2.30 | 1.47 | 1.32 | 1.26 |
| 19:00 | 181 | ჩეზენა-მესინა | 2.55 | 2.70 | 2.80 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| 19:00 | 182 | მოდენა-პიაჩენცა | 1.85 | 2.80 | 4.65 | 1.11 | 1.32 | 1.74 |
| 19:00 | 183 | ფროზინონე-პიზა | 2.70 | 2.80 | 2.60 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| 19:00 | 184 | ასკოლი-რავენა | 1.60 | 3.10 | 5.90 | 1.05 | 1.25 | 2.03 |
| 19:00 | 185 | ბარი-რიმინი | 2.40 | 2.80 | 2.90 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| 19:00 | 186 | ბოლონია-სპეცია | 1.25 | 4.10 | 11.60 | 1.00 | 1.12 | 3.02 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 213 | ალმერია-რეალი | 5.25 | 3.40 | 1.65 | 2.06 | 1.25 | 1.11 |
| 23:45 | 216 | ბეტისი-დეპორტივო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 205 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.20 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.81 |
| 20:00 | 207 | სარაგოსა-ბილბაო | 1.80 | 3.30 | 4.25 | 1.16 | 1.26 | 1.85 |
| 20:00 | 208 | ლევანტე-რასინგი | 3.30 | 3.10 | 2.15 | 1.59 | 1.30 | 1.26 |
| 20:00 | 209 | ატლეტიკო-მურსია | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 20:00 | 211 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 20:00 | 215 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 217 | ხეტაფე-ესპანიოლი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:00 | 218 | უელვა-სევილია | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 128 | აიაქსი-პსვ | 2.25 | 3.20 | [illegible] | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 18:45 | 285 | ოფი-პაოკ | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 17:00 | 286 | ვეროია-ირაკლისი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 287 | პანათინაიკოსი-ასტერას ტრიპოლისი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 21:00 | 288 | აეკ-პანიონიოსი | 1.40 | 3.70 | 8.30 | 1.01 | 1.19 | 2.55 |
| 18:45 | 289 | კალამარია-ოლიმპიაკოსი | 9.50 | 4.20 | 1.30 | 2.91 | 1.14 | 1.00 |
| 17:00 | 290 | ლევადეიაკოსი-ლარისა | 2.45 | 2.90 | 2.75 | 1.32 | 1.29 | 1.41 |
| 18:45 | 291 | არისი-ერგოტელისი | 1.35 | 4.00 | 8.50 | 1.00 | 1.16 | 2.72 |
| 18:45 | 292 | ატრომიტოსი-ქსანთი | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| | | აფრიკის თასი 2008 | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 614 | კამერუნი-სუდანი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 21:00 | 615 | ეგვიპტე-ზამბია | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.02 | 1.18 | 2.27 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 616 | სენეგალი-სამხრეთ აფრიკა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 617 | ტუნისი-ანგოლა | 2.75 | 1.70 | 4.50 | 1.05 | 1.70 | 1.23 |
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 310 | კარლ ცაისი-არმინია | 2.95 | 3.20 | 2.10 | 1.53 | 1.22 | 1.26 |
| 22:30 | 312 | ვოლფსბურგი-შალკე | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 22:00 | 313 | ესენი-ჰამბურგი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 22:00 | 316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 7.00 | 4.10 | 1.40 | 2.58 | 1.16 | 1.04 |
| | | შოტლანდია. CIS Cup | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 123 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.45 | 3.70 | 6.61 | 1.04 | 1.18 | 2.37 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 23:45 | 125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 126 | ბილბაო-რასინგი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:45 | 127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 23:30 | 336 | კორტრაიკი-გენტი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 23:30 | 337 | ანდერლეხტი-დენდერი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 23:45 | 338 | სერკლი-სტანდარდი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 604 | სპორტინგი-პენაფიელი | 1.12 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.21 |
| 23:45 | 605 | სეტუბალი-ბეირა მარი | 1.35 | 4.00 | 7.70 | 1.00 | 1.14 | 2.63 |
| | | იტალია თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 319 | კატანია-უდინეზე | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 321 | იუვენტუსი -ინტერი | 2.80 | 3.00 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 20:45 | 322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.65 | 3.20 | 4.70 | 1.08 | 1.22 | 1.90 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 618 | კრუზეირო(ბრა)-სერო(პარ) | 1.45 | 3.75 | 6.40 | 1.04 | 1.18 | 2.36 |
| 23:45 | 619 | ატლასი(მექ)-ლა პაზი(ბოლ) | 1.15 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.88 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 620 | ოლმედო(ეკვ)-ლანუსი(არგ) | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 621 | სიენსიანო(პერ)-უონდერერსი(ურ) | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 488 | ასკ-სევერსტალი | 1.40 | 4.20 | 3.80 | 1.04 | 1.02 | 1.99 |
| 18:00 | 489 | მაგნიტოგორსკი-ავანგარდი | 1.40 | 4.10 | 3.90 | 1.04 | 1.03 | 1.99 |
| 20:00 | 490 | ლოკომოტივი-ხიმკი | 1.40 | 4.20 | 3.70 | 1.04 | 1.01 | 1.96 |
| 20:00 | 491 | ცსკა-დინამო | 1.40 | 4.20 | 3.70 | 1.04 | 1.01 | 1.96 |
| 20:00 | 492 | ტორპედო-სიბირი | 1.90 | 4.20 | 2.20 | 1.30 | 1.01 | 1.44 |
| 16:00 | 493 | ნოვოკუზნეცკი-ტრაქტორი | 1.85 | 4.20 | 2.40 | 1.28 | 1.04 | 1.52 |
| 20:00 | 494 | სპარტაკი-ლადა | 1.85 | 4.10 | 2.40 | 1.27 | 1.04 | 1.51 |
| 20:00 | 495 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 1.65 | 4.20 | 2.80 | 1.18 | 1.03 | 1.67 |
| 18:00 | 496 | ს.იულაევი-მვდ | 1.25 | 4.20 | 5.30 | 1.00 | 1.01 | 2.34 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 13:00 | 497 | ამური-აკ ბარსი | 3.20 | 4.20 | 1.50 | 1.81 | 1.02 | 1.10 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10004 | დერბი-სიტი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10007 | ჩელსი-რედინგი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10013 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10124 | ატლეტიკო-ვალენსია | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10125 | მალიორკა-ხეტაფე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10126 | ბილბაო-რასინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10128 | აიაქსი-პსვ | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10130 | მოზერუელი-სელტიკი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10310 | კარლ ცაისი-არმინია | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10312 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10313 | ესენი-ჰამბურგი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10319 | კატანია-უდინეზე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10321 | იუვენტუსი -ინტერი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10322 | ფიორენტინა -ლაციო | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10336 | კორტრაიკი-გენტი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10337 | ანდერლეხტი-დენდერი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10338 | სერკლი-სტანდარდი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10606 | რეჯინა-მილანი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11004 | დერბი-სიტი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | [illegible] | [illegible] |
| 11007 | ჩელსი-რედინგი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | [illegible] | [illegible] |
| 11009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11013 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11124 | ატლეტიკო-ვალენსია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11125 | მალიორკა-ხეტაფე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11126 | ბილბაო-რასინგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11128 | აიაქსი-პსვ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11130 | მოზერუელი-სელტიკი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11310 | კარლ ცაისი-არმინია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11312 | ვოლფსბურგი-შალკე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11313 | ესენი-ჰამბურგი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11319 | კატანია-უდინეზე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11321 | იუვენტუსი -ინტერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11322 | ფიორენტინა -ლაციო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11336 | კორტრაიკი-გენტი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11337 | ანდერლეხტი-დენდერი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11338 | სერკლი-სტანდარდი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11606 | რეჯინა-მილანი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12004 | დერბი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-რედინგი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.80 | 1.80 |
| 12011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12013 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.90 | 1.70 |
| 12124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 12126 | ბილბაო-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.90 | 1.70 |
| 12128 | აიაქსი-პსვ | 2.00 | 1.60 |
| 12129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 2.00 | 1.50 |
| 12130 | მოზერუელი-სელტიკი | 2.00 | 1.60 |
| 12310 | კარლ ცაისი-არმინია | 1.80 | 1.80 |
| 12312 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12313 | ესენი-ჰამბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 2.20 | 1.45 |
| 12319 | კატანია-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12321 | იუვენტუსი -ინტერი | 1.80 | 1.80 |
| 12322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.80 | 1.80 |
| 12335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.90 | 1.70 |
| 12336 | კორტრაიკი-გენტი | 1.90 | 1.70 |
| 12337 | ანდერლეხტი-დენდერი | 2.00 | 1.60 |
| 12338 | სერკლი-სტანდარდი | 1.90 | 1.70 |
| 12606 | რეჯინა-მილანი | 1.80 | 1.80 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13004 | დერბი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.80 | 1.80 |
| 13125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ბილბაო-რასინგი | 1.80 | 1.80 |
| 13127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.80 | 1.80 |
| 13128 | აიაქსი-პსვ | 1.50 | 2.10 |
| 13129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.40 | 2.10 |
| 13130 | მოზერუელი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13319 | კატანია-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13321 | იუვენტუსი -ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 13322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.60 | 2.00 |
| 13336 | კორტრაიკი-გენტი | 1.60 | 2.00 |
| 13337 | ანდერლეხტი-დენდერი | 1.80 | 1.80 |
| 13338 | სერკლი-სტანდარდი | 1.60 | 2.00 |
| 13606 | რეჯინა-მილანი | 1.80 | 1.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14004 | დერბი-სიტი | 2.50 | 1.30 |
| 14009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 2.20 | 1.70 |
| 14124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.70 | 2.20 |
| 14125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.70 | 2.20 |
| 14126 | ბილბაო-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.30 | 2.50 |
| 14128 | აიაქსი-პსვ | 1.80 | 2.00 |
| 14129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.45 | 2.40 |
| 14130 | მოზერუელი-სელტიკი | 2.50 | 1.30 |
| 14310 | კარლ ცაისი-არმინია | 2.00 | 1.80 |
| 14312 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.95 | 1.85 |
| 14313 | ესენი-ჰამბურგი | 2.60 | 1.20 |
| 14316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 2.60 | 1.20 |
| 14319 | კატანია-უდინეზე | 1.80 | 2.00 |
| 14321 | იუვენტუსი -ინტერი | 2.00 | 1.80 |
| 14322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.45 | 2.40 |
| 14335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.30 | 2.50 |
| 14336 | კორტრაიკი-გენტი | 2.10 | 1.75 |
| 14338 | სერკლი-სტანდარდი | 1.80 | 2.00 |
| 14606 | რეჯინა-მილანი | 2.50 | 1.30 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15004 | დერბი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15124 | ატლეტიკო-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15125 | მალიორკა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15126 | ბილბაო-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15128 | ა..ქსი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15130 | მოზერუელი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | კარლ ცაისი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | ესენი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | კატანია-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | იუვენტუსი -ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15322 | ფიორენტინა -ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | კორტრაიკი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | სერკლი-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15606 | რეჯინა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16004 | დერბი-სიტი | 3.60 | 1.23 |
| 16009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.55 | 2.20 |
| 16011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 2.90 | 1.32 |
| 16124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.34 | 2.80 |
| 16125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.34 | 2.80 |
| 16126 | ბილბაო-რასინგი | 1.58 | 2.10 |
| 16127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.14 | 4.70 |
| 16128 | აიაქსი-პსვ | 1.58 | 2.10 |
| 16129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.24 | 3.60 |
| 16130 | მოზერუელი-სელტიკი | 4.10 | 1.17 |
| 16310 | კარლ ცაისი-არმინია | 1.95 | 1.70 |
| 16312 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.80 | 1.80 |
| 16313 | ესენი-ჰამბურგი | 4.20 | 1.15 |
| 16316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 4.20 | 1.15 |
| 16319 | კატანია-უდინეზე | 1.55 | 2.20 |
| 16321 | იუვენტუსი -ინტერი | 1.95 | 1.65 |
| 16322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.23 | 3.60 |
| 16335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.14 | 4.70 |
| 16336 | კორტრაიკი-გენტი | 2.20 | 1.52 |
| 16338 | სერკლი-სტანდარდი | 1.58 | 2.10 |
| 16606 | რეჯინა-მილანი | 4.20 | 1.15 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17004 | დერბი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ევერტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17013 | მანჩესტერი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17124 | ატლეტიკო-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17125 | მალიორკა-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17126 | ბილბაო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17128 | აიაქსი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17129 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | მოზერუელი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | კარლ ცაისი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17312 | ვოლფსბურგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ესენი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ვერდერი(მ)-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | კატანია-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17321 | იუვენტუსი -ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | ფიორენტინა -ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17336 | კორტრაიკი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17337 | ანდერლეხტი-დენდერი | 1.85 | 1.95 |
| 17338 | სერკლი-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17606 | რეჯინა-მილანი | 1.85 | 1.95 |

# ვერისბაღური ბლიცი

**2 თებერვალს** სუპერლიგად წოდებული ეროვნული ჩემპიონატი განახლდება, ოღონდ იქ არა, სადაც აქამდე იმართებოდა. ქართული გუნდები დროებით საქართველოს ჩემპიონატის ძველ ნავსაყუდელ ვერის ბაღს მიაშურებენ და სუპერლიგის ერთ წრეს იქ ჩაითამაშებენ. სანამ ადგილმონაცვლეობის მიზეზებს თავად ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანისგან მოისმენთ, ამ წრის თავისებურებაზე მოგახსენებთ.

აქამდე სუპერლიგის მატჩები კვირაში ერთხელ იმართებოდა. 2-დან 7 თებერვლამდე კი მიყოლებით ჩატარდება და გუნდები მთელ წრეს ასე მოკლე ხანში მოილევენ. რაკი სუპერლიგაში მხოლოდ 6 გუნდია, ფედერაციამ თამაშების რაოდენობის გაზრდის მიზნით გასული წლის ფორმატს ერთი წრეც დაამატა. და რაკი ამდენი მატჩი დროში გაიწელებოდა, გადაწყვიტეს, ორი წრე ტურად, ანუ ყოველდღიური გრაფიკით ჩაეტარებინათ. კალენდრის თანახმად, ეს ბლიც-ტურები მეორე და მეოთხე წრის შემდეგ გაიმართებოდა და აი, დრომაც მოატანა...

„თავდაპირველად იგეგმებოდა, რომ სუპერლიგაში 8 გუნდი ითამაშებდა და შესაბამისად, კალენდარიც 4 წრეზე იყო გათვლილი — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ბესიკ ლიპარტელიანმა* — სპორტის სასახლის ადმინისტრაციასაც მაშინ მოველაპარაკეთ და მერე, როცა ბოლო წამს ორმა გუნდმა უარი თქვა სუპერლიგაში თამაშზე, კალენდარს 2, თითო კვირაში ჩატეული წრე დავამატეთ. ამიტომ გვიწევს ახლა დარბაზის გამოცვლა და ყველაფრით უზრუნველყოფილი სპორტის სასახლიდან არაკომფორტულ ვერის ბაღის დარბაზში გადავდივართ. სითბოსა და კარგ პირობებს შეჩვეულ სუპერლიგის გუნდებს ცოტა კი გაუჭირდებათ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ცოტას მოვითმენთ და ერთ კვირაში კვლავ სპორტის სასახლეს დავუბრუნდებით“.

**ირაკლი პერტაია**

2 თებერვალი

| | |
|---|---|
| დინამო — თსუ | 13.30 |
| ვითა — ენერჯი-ინვესტი | 15.30 |
| მაკაბი — ავიამშენი | 17.30 |

3 თებერვალი

| | |
|---|---|
| ავიამშენი — დინამო | 13.30 |
| ენერჯი-ინვესტი — თსუ | 15.30 |
| ვითა — მაკაბი | 17.30 |

4 თებერვალი

| | |
|---|---|
| დინამო — ვითა | 13.30 |
| ენერჯი-ინვესტი — მაკაბი | 15.30 |
| თსუ — ავიამშენი | 17.30 |

6 თებერვალი

| | |
|---|---|
| ენერჯი-ინვესტი — დინამო | 13.30 |
| ავიამშენი — ვითა | 15.30 |
| თსუ — მაკაბი | 17.30 |

7 თებერვალი

| | |
|---|---|
| დინამო — მაკაბი | 13.30 |
| ავიამშენი — ენერჯი-ინვესტი | 15.30 |
| ვითა — თსუ | 17.30 |

# მარკოიშვილი ბელგიაში მიდის

**ულებ-ის** თასის ჯგუფური ეტაპი ერთი კვირის წინ დასრულდა. გუშინწინ კი იღბლიანი 32 გუნდი მეთექვსმეტედფინალში დაწყვილდა. მატჩები 19 და 26 თებერვალს მიმოსვლით გაიმართება და ქართველი ქომაგის ყურადღება უპირველესად „ბკ კიევისკენ“ იქნება მიმართული, სადაც მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს და რომელსაც კენჭისყრამ მეტოქედ ბელგიური „ოსტენდე“ არგუნა.

კიეველთა დარად, ოსტენდელებმაც მეორე ადგილი დაიკავეს თავის არცთუ სუსტ ჯგუფში. ოღონდ ეგაა, ბელგიელებს პირველზე გასვლის რეალური შანსი არ ჰქონიათ, იმდენად მრისხანედ ჩაითამაშა ჯგუფური ეტაპი მოსკოვის „დინამომ“. სწორედ „ოსტენდესთან“ წააგო რუსულმა გრანდმა ორიდან ერთი მატჩი, თუმც პირველობა მაინც არ გაძნელებია. ამ შეხვედრაში გამოაცხო ბელგიელთა სლავმა ლეგიონერმა ელვირ ოვჩინამ სამმაგი დუბლი (12 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), რაც ულებ-ის თასის ისტორიაში მესამე შემთხვევაა. „ოსტენდემ“ ჯგუფურ ეტაპზე სხვა მნიშვნელოვანი გამარჯვებებიც მოიპოვა, რომელთაგან გამოსარჩევია ბოლონიაში „ფორტიტუდოს“ დამარცხება. „შეიძლება, ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ გაგვიმართლა, მაგრამ, დამიჯერეთ, ეს ასე არაა — ამბობს „ბკ კიევის“ სლოვენიელი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი — „ოსტენდე“ არც ისე სუსტი ოპონენტია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ბელგიურმა კლუბმა საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა ისეთი სახელიანი გუნდები, ცრვენა ზვეზდა“ და „ფორტიტუდო“ რომ არიან. ყველაფერთან ერთად, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოსტენდეს“ წვრთნის შარონ დრუკერი, რომელსაც ერთხელ უკვე მოუგია ულებ-ის თასი“.

**ირაკლი პერტაია**

**1/16 ფინალური წყვილები**

**მატჩები გაიმართება 19-26 იანვარს**

დინამო (რუსეთი) — შლიონსკი (პოლონეთი)
ვენტსპილსი (ლატვია) — აკადემიკი (ბულგარეთი)
ბკ კიევი (უკრაინა) — ოსტენდე (ბელგია)
ტუროვი (პოლონეთი) — ნიმბურკი (ავსტრია)
ხირონა (ესპანეთი) — შალონი (საფრანგეთი)
ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) — ჰემოფარმი (სერბეთი)
ტელეკომი (თურქეთი) — უნიქსი (რუსეთი)
ტრიუმფი (რუსეთი) — არტლენდი (გერმანია)
ხუვენტუდი (ესპანეთი) — სვანსი (შვედეთი)
ხიმკი (რუსეთი) — კიოლნი (გერმანია)
ზადარი (ხორვატია) — აზოვმაში (უკრაინა)
პამესა (ესპანეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ჰაპოელი (ისრაელი)
ბენეტონი (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
გალათასარაი (თურქეთი) — ასველი (საფრანგეთი)
კანარია (ესპანეთი) — ბოსნა (ბოსნია)

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბებერი ვებერი ბებერმა მწვრთნელმა გაიხსენა




**ბებერი** კრის ვებერი „გოლდენ სტეიტში“ ბრუნდება და ალბათ ამ გუნდში დაამთავრებს კარიერას, სადაც 15 წლის წინ იწყებდა. იგი მთავარ მწვრთნელ დონ ნელსონის სურვილით და ინიციატივით ბრუნდება. ნელსონი ბევრმა გაკიცხა ტრავმახშირი, ასაკოვანი და თან თავკერძა ხასიათის ვებერის მიყვანისთვის — ამ სწრაფ და ჰარმონიულ გუნდში არეულობას შეიტანსო, მაგრამ მწვრთნელმა თავისი გაიტანა. ნელი ცნობილია თავისი მოულოდნელი, თითქოს არალოგიკური სვლებით და ასე კრიტიკა-წამოძახებებში გატარებულ კარიერაში აქვს მოპოვებული თითქმის 1300 გამარჯვება (მეორე შედეგი ნბას-ს ისტორიაში). მისი გათვლით, 208-სანტიმეტრიანმა ვებერმა „მეომართა“ ფარი უნდა გაამაგროს.

„მეშინოდა, რომ კრისს ვერ გადმოვიყვანდი. ჩვენი გუნდი არაა საკმარისად ძლიერი, რომ პლეი ოფში გიგანტებს ეჭიდაოს. ვებერი ასაკიანია, მაგრამ აქვს მრავალი თვისება, რომელთა კარგად გამოყენებაც შეიძლება“ — ასეთია ნელსონის კომენტარი.

35 წელს მიახლოვებული ვებერი წლეულს უგუნდოდ დარჩა და ნახევარი სეზონი უსაქმოდ გაატარა, ასე რომ, დიდი ხვეწნის გარეშე დაბრუნდა იქ, სადაც წლების განმავლობაში ტრიბუნები მას მხურვალე... სტვენით ეგებებოდნენ. მან 1993 წელს „უორიორზში“ იმდენად კარგად დაიწყო კარიერა, რომ 93-94 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედაც გახდა, მაგრამ მერე სხვაგან გაცვლა მოითხოვა და იქაური გულშემატკივარი მოიმდურა. ვებერის წასვლიდან ორიოდ თვეში გუნდი ნელსონმაც დატოვა მას შემდეგ „გოლდენ სტეიტი“ 2 წელი უპლეიოფოდ ჯახირობდა, სანამ ისევ ნელსონმა არ აიღო სადავე.

ვებერს 14 სეზონში ხუთ გუნდი აქვს ცვლილი, 800-ზე მეტ თამაშში მოუხვეჭია საშუალოდ 20,9 ქულა, 9,8 მოხსნა და 4,3 პასი. ამასთან იგი ყველა ვარსკვლავის მატჩის ხუთგზის მონაწილე გახლავთ, ანუ თამამად ეწოდება თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე.

**კოტე ყორშია**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ჰიდაიეთ თურქოღლუ (ორლანდო)**




## დასავლეთი

**ალ ჯეფერსონი (მინესოტა)**




**„ორლანდო მეჯიქი“** თავს იწონებს სადღეისოდ ლიგის უძლიერეს ცენტრ დუაიტ ჰოვარდით, იქვე თამაშობს რამდენიმე თვის წინ „სიეტლიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაყვანილი რიშარდ ლუისი, რომელსაც ახალ გუნდში ლამის 20-მილიონიანი წლიური ხელფასი გაუმზადეს. მაგრამ „მეჯიქში“ ერთი ისეთი კაციცაა, ვინც რიგ მატჩებში ამ ვარსკვლავებზე ნაკლებად კი არა, მეტადაც ასარგებლებს გუნდს.

„ორლანდოს“ თურქი ფრთა ჰიდაიეთ თურქოღლუ კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს და მატჩში საშუალოდ თითქმის 20 ქულას იხვეჭს, გასულ კვირის ოთხ მატჩში კი საშუალოდ 25,5 ქულა, 4,8 მოხსნა და 4,8 პასი გააკეთა. მისმა გუნდმაც მათგან სამი მოიგო და თურქოღლუც აღმოსავლეთში კვირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. გამოსარჩევია აღმოსავლეთის გაუსაჩივრებელ ლიდერ „ბოსტონთან“ 96:93 მოგებული რკენა, როცა თურქმა ბოლო წამებზე სასწაული სამქულიანი ჩააგდო.

დასავლეთში საუკეთესო მოთამაშის წოდებაც შედარებით ნაკლებად კაშკაშა მოთამაშეს, უსუსტესი „მინესოტას“ ცენტრ ალ ჯეფერსონს ხვდა. „მინესოტამაც“ კვირის განმავლობაში ოთხი თამაშიდან სამი მოიგო და ჯეფერსონმა საშუალოდ 28,8 ქულა და 12,8 მოხსნა აკეთა. გამოსარჩევია მძლავრ „ფინიქსთან“ მოგებული მატჩი, სადაც ჯეფერსონმა 39 ქულა და 15 მოხსნა მოინაგრა. ასევე „ნიუ ჯერსის“ ძლევაში მოქაფული 40 ქულა და 19 მოხსნა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია):** კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ჰიდაიეთ თურქოღლუ (ორლანდო), დირკ ნოვიცკი (დალასი), ალ ჯეფერსონი (მინესოტა)

28 იანვარი

**ნიუ ორლეანი 117:93 დენვერი**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (23 ქულა, 17 პასი, 9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (19), ელი (16), ჩანდლერი (10 ქულა, 16 მოხსნა)
**დენვერი:** აივერსონი (23), მარტინი (18), კლეიზა (14), სმიტი (14)

**იუტა 97:91 სან ანტონიო**

**იუტა:** ბუზერი (23), კირილენკო (23), უილიამსი (11 ქულა, 14 მოხსნა)
**სან ანტონიო:** ჯინობილი (29), დანკანი (26 ქულა, 11 მოხსნა)

**კლიპერსი 100:107 შარლოტი**

**კლიპერსი:** ტომასი (29 ქულა, 13 მოხსნა), კასელი (17), როსი (15)
**შარლოტი:** ვოლესი (23), რიჩარდსონი (20), ოკაფორი (14)

**მემფისი 84:103 დალასი**

**მემფისი:** გაი (18), ლოური (17), ნავარო (16)
**დალასი:** ჰოვარდი (26), ნოვიცკი (20 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (14)


ბადრი კირალიშვილის ფოტო

# ირაკლი ცირეკიძე: ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდი

გასულ უქმეებზე რომ სპორტის სასახლეში „თბილისის მსოფლიოს თასი" გაიმართა, ალბათ ყველა ქართველ ძიუდოს ქომაგს კარგად მოეხსენება. ვინც უყურა ამ მართლაც უმაღლესი კლასის ჭიდაობას, სანახაობით დატკბა. მოხდა ერთი ცოტა საჩოთირო ამბავიც. 90 კილოგრამ წონით კატეგორიის ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე და ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური და საბოლოო შედეგმა გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

ზურა ტრავმის გამო დიდხანს უქმობდა, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში ეფექტურად იჭიდავა და ჩემპიონიც გახდა. ჭიდაობა ისეთი რამეა, რომ შეცდომას არავინ გაპატიებს. ერთი მოდუნება, ერთი გაფრთხილება, ანდაც ტაქტიკის სწორად თუ არასწორად შერჩევა თანამედროვე ძიუდოში უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორები ხდება. ირაკლი ცირეკიძე კი ისეთი მოჭიდავეა, რომ ხშირად მთელი შეჯიბრების განმავლობაში არ დგამს ერთ გაუთვალისწინებელ ნაბიჯსაც კი. თუნდაც ეს მსოფლიოს თასი ავილოთ: ფინალამდე მას კაციშვილმა ქულაც ვერ გამოჰგლიჯა...

მოკლედ, რა საჭირო იყო ამხელა შესავალი? 90 კილოგრამში გადამწყვეტ შეხვედრა გავიხსენოთ და დასკვნები თვითონ გააკეთეთ.

ორთაბრძოლა რომ დაძაბული გამოდგა, ამას თქმა არ უნდა. ირაკლი ცირეკიძე თავის სტილში აქტიურობდა, რამდენიმე ილეთიც სცადა, მაგრამ ზვიადაური ფხიზლად იყო და თავის მომენტს ელოდა. ეს ლოდინი კი პასიურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ცირეკიძემ რამდენჯერმე მსაჯს მოწინააღმდეგის გაფრთხილება მოსთხოვა. ერთ მომენტში ზვიადაურმა მეტოქე ტატამს მოსწყვიტა და კისერზე გადაივლო, მაგრამ რალაც მანქანებით ირაკლი საქულოდ არ დაცემულა ძირს. ძირითადი დრო უშედეგოდ მიიწურა. უცხოელ მსაჯებს არც არავინ გაუფრთხილებიათ. ერთი ხანობა მთავარმა არბიტრმა ზვიადაური შიდოთი დასაჯა, მაგრამ გვერდითებმა ოლიმპიურ ჩემპიონს გაფრთხილება მოუხსნეს. დაინიშნა დამატებითი დრო. ჭიდაობა იგივე სცენარით გაგრძელდა. თითქოს არაფერი და... შეორე ხუთწუთეულის მიწურულს ზურამ ირაკლის ფეხი გამოჰკრა, იუკო აულო და გაიმარჯვა. ცირეკიძე ძალიან იმედგაცრუებული ჩანდა. თითქოს პროტესტის ნიშნად ტატამზე დარჩენა სურდა, მაგრამ შემდეგ გავიდა და ამოდენა ხალხმრავლობაში განმარტოვდა. აშკარად ეტყობოდა, რომ წაგებას მარტო საკუთარ თავს არ აბრალებდა.

სწორედ ამიტომ, გუშინ *ირაკლი ცირეკიძეს* შევეხმიანეთ და ამ ყველაფერზე კომენტარი ვთხოვეთ...

**— თუ შეგიძლია, ფინალურ შეხვედრაზე შენი აზრი გვითხრა...**

— აბა, რა გითხრათ, ვაქტიურობდი, მსაჯისთვის გაფრთხილების საბაბი ერთი წუთითაც კი არ მიმიცია, რამდენიმე ილეთის გაკეთებაც ვცადე. ორთაბრძოლა ჩემს სტილში მიმყავდა. რაც მოხდა, მოხდა. მოვლენებს უკან ველარ დავაბრუნებ. ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდი, მაგრამ...

**— უახლოესი გეგმები როგორი გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებ. ორ კვირაში პარიზის მსოფლიოს სუპერთასია. ყველანაირად ვეცდები, რომ გავიმარჯვო.

**— ნაკრების ხელმძღვანელობასთან თუ ისაუბრე თბილისური ფინალის შესახებ? ანდა ხომ არ თქმულა, რომელი ტურნირი გაარკვევს ოლიმპიადაზე წამსვლელის ვინაობას?**

— არა, ამაზე არ გვილაპარაკია. ხშირად მომხდარა, რომ ვინც საერთაშორისო შეჯიბრებებზე [...]მატებით გამოსულა, ოლიმპიადაზეც ის წასულა. ყველაზე [...] კიდევ წინ არის. [...] ჩემპიონატიც იქნება და სავარაუდოდ, ყველაფერი იქ გაირკვევა.

**— თბილისში თუ გაგიჭირდა ჭიდაობა?**

— საქმე ისაა, რომ ჩემი წონა ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. ბევრი სახელიანი სპორტსმენი გამოდიოდა, მაგრამ ჩემს გამოსვლას მაინც წარმატებულად მივიჩნევ.

**— ნაკრებში მეორე ძლიერი კონკურენტიც გამოგიჩნდა ვალერი ლიპარტელიანის სახით. რას იტყვი, როგორი მოჭიდავეა?**

— ვალერი ძალიან კარგი ბიჭია, საუცხოოდ ჭიდაობს. ელასტიურია და ტექნიკური. გასაკვირია, მაგრამ თავისი ასაკისთვის საკმაოდ უშიშარია. ზვიადაურთან რომ წააგო, ამას უფრო გამოუცდელობას ვაბრალებ.

**— დაბოლოს, ოლიმპიადაზე თუ წახვედი, ვინ იქნება შენი უმთავრესი კონკურენტი?**

— მთავარ მეტოქედ ჯარჯი ზვიადაურს (ილიას ილიადისი) ვთვლი. იგი დღესდღეობით 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდის, მაგრამ ოლიმპიადისთვის ჩვენს წონაში ჩამოვა.

**ზურაბ მიგრიაული**



# ლიცენზიები გაზაფხულზე დაითვლება



*თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატი მოილიეს და ახლა მოახლოებული სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან. ნაკრებში უმძაფრესი კონკურენციაა და თითოეულ მოჭიდავეს ადგილის დასაკავებლად უშეღავათო ბრძოლა მოუწევს. საპეკინო ლიცენზია მხოლოდ ორს, ოთარ თუშიშვილს (66 კგ) და გელა სალირაშვილს (74 კგ) აქვს მოპოვებული. შიდა ჩემპიონატში გამარჯვებულებმა პირველ ნომრობაზე სერიოზული განაცხადი კი გააკეთეს, მაგრამ ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია. წინ მოსამზადებელი ეტაპი და სამი საერთაშორისო ტურნირია, რასაც ევროპის ჩემპიონატი და კიდევ ორი, პოლონეთისა და შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირი მოსდევს. სწორედ ევროპირველობაზე და პოლონეთ-შვეიცარიაში უნდა გაირკვეს ჩინეთში წამსვლელთა ვინაობა. ევროპის ჩემპიონატამდე კი ძირითადი შემადგენლობაც გამოიკვეთება. გუშინ ნაკრების თავკაც* ***ზაზა თურმანიძეს*** *ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ*

— ეს ჩემპიონატი ორმაგად მნიშვნელოვანი გახლდათ. ერთი, რომ ძირითადი ტურნირია, რის მიხედვითაც დიდი კონკურენციის პირობებში შემადგენლობა უნდა გამოიკვეთოს. თან ოლიმპიადა მოგვადგა კარს და ყველა შეჯიბრს თავისი დატვირთვა აქვს. ჩემპიონატში რამე მოულოდნელობა არ ყოფილა. გამარჯვებულები აქამდეც კარგად ნაცნობი ბიჭები გახდნენ. 66 კგ-ში კობა კაკალაძემ იმარჯვა. აქ ლიცენზიამოპოვებული ოთარ თუშიშვილი გვყავს, მაგრამ ტრავმამ ხალიჩაზე გასვლის საშუალება არ მისცა. 74 კგ-ში ალექსანდრე პატარქალიშვილმა მოუგო ყველას. ამ წონის ლიცენზიანტ გელა სალირაშვილს წონა ჰქონდა მომატებული და 84-კგ-ში იჭიდავა, თუმც მერე ისევ მოუწევს დაკლება და თავის წონაში გამოსვლა. რაც შეეხება იმას, გამოჩნდნენ თუ არა პერსპექტიული ახალგაზრდები, შედარებით ახალი სახე არჩილ ქიტიაშვილია, თუმც ისიც ჩვენ ხელშია გაზრდილი და მისი შესაძლებლობებიც კარგად ვიცით.

**— ქართველი გულშემატკივარი განსაკუთრებული ინტერესით ელის 96 კგ-ში გიორგი გოგშელიძის და ლუკა კურტანიძის დაპირისპირებას, თუმც ეს დუელი არც ამჯერად შედგა, რატომ?**

— როგორც ვიცი, კურტანიძე გაციებული იყო და ამის გამო ვერ იჭიდავა. მასთან პირადი საუბარი არ მქონია.

**— ნაკრები მომზადებას როგორ გააგრძელებს?**

— 2 თებერვალს შეკრებაზე მივდივართ. სომხეთში ორი კვირით, მერე კი სამი საერთაშორისო ტურნირი გველის. სალიცენზიო ტურნირზე მარტო პირველადგილოსნები არ მოიპოვებენ ჩინეთის საგზურს — ვთქვათ, თუ საუკეთესოს ლიცენზია მანამდე აქვს განაღდებული, მაშინ მის მომდევნოს გადაეცემა. თუ მასაც აქვს უკვე, მესამე ადგილზე გასული დაისაკუთრებს პეკინის საგზურს და ასე შემდეგ.

**— მთავარი კრიტერიუმი რა იქნება ნაკრებში მოსახვედრად?**

— საერთოდ, მთავარი კრიტერიუმი საქართველოს ჩემპიონატია და იქ გამარჯვებულებს მნიშვნელოვანი უპირატესობა ექნებათ. თუმც ყველაფერი გარკვეული ჯერ არ არის, საბოლოო სახე ნაკრებს შეკრებებისა და საერთაშორისო ტურნირების მერე მიეცემა. მაგალითად, ახლა თუშიშვილს ტრავმის გამო არ უჭიდავია და ჩემპიონი სხვა გახდა. მას კი ლიცენზია უკვე აქვს და ბუნებრივია, ჯერ გადაწყვეტილი არაფერია...

**— ალბათ ყველა წონაში გეგმავთ ლიცენზიის აღებას...**

— ვნახოთ, ეს აპრილში ფინეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატსა და მომდევნო ორ ტურნირზე გამოჩნდება. ჩვენ ამას ვეცდებით. ნაკრების პრობლემა ახლა ის არის, რომ ბევრი ასაკიანი სპორტსმენი გვყავს და გადახალისებაა საჭირო. თუმც ახლა მთავარია, რომ ის ხალხი, ვინც ჩინეთის საგზურს აიღებს, მაქსიმალურად კარგად მოვამზადოთ.

**ლევან მაისურაძე**

| საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბათუმი 29-30 იანვარი |
| --- |
| 55 კგ |
| 1 ლაშა გოგიტაძე |
| 2 ირაკლი ჭოჭუა |
| 3 გიორგი გვენეტაძე |
| 3 ზურაბ კეკელიძე |
| 60 კგ |
| 1 ლევან ლაშხი |
| 2 ტარიელ ებრალიძე |
| 3 გოდერძი დავითაძე |
| 3 ზვიად ოქრაძე |
| 66 კგ |
| 1 მუხრან მაჭუტაძე |
| 2 ლაშა ლომაძე |
| 3 ანტონ მამაგეიშვილი |
| 3 მანუჩარ ცხადაია |
| 74 კგ |
| 1 შმაგი სახლთხუციშვილი |
| 2 გენადი გოგიშვილი |
| 3 მამუკა ხიმშიაშვილი |
| 3 გიორგი ცირეკიძე |



# მიუნხენი და ევროპამდე ისევ მიუნხენი

**საქართველოს** მსროლელთა ნაკრებმა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ კარგი შედეგებიც აჩვენა. გერმანიაში 5 მსროლელი იყო წასული: ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი, ლევან ქადაგიძე და ბექა გოგონაშვილი. ბიჭებისთვის იქ ნაჩვენები შედეგები საუკეთესო გახლდათ. ქადაგიძემ პირადი რეკორდიც გააუმჯობესა პირველ ცდაზე. რაც შეეხება ქალებს — ნინო სალუქვაძემ პირველ სტარტზე მეორე ადგილი დაიკავა, შეჯიბრის დასრულების მერე კი ფინალში რვა საუკეთესო ხვდება. სალუქვაძე ჯერ მე-7 იყო, მაგრამ ბოლოს გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. ეს ტურნირი ტრადიციულია და თითოეული ნაკრები ცდილობს, იქ სოლიდური შემადგენლობით ჩავიდეს. ტურნირი გარკვეულწილად მოსამზადებილ ეტაპია ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიოს თასის წინ. თან მსროლელები იმ იარაღის გამოცდასაც აწარმოებენ, რომლითაც მერე უფრო მნიშვნელოვან სალიცენზიო ტურნირებზე უნდა წარდგნენ.

ნაკრები 13 თებერვალს ისევ მიუნხენში გაემგზავრება, შეკრებას გაივლის და იქიდანვე შვეიცარიაში გადაინაცვლებს, სადაც 24 თებერვლიდან 2 მარტამდე ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება.

**ლევან მაისურაძე**



# ექვსნი უმაღლეს ლიგაში

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი პირველ ლიგაში ვაჟ მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც ქალებიც მონაწილეობდნენ.

9 ტურის ჯამში ის 6 მოჭადრაკე გაირკვა, ვინც უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა: გაიოზ ნიგალაძე (ბათუმი) 8 ქულა; ლუკა პაიჭაძე (რუსთავი) 7; დავით ლომსაძე (თბილისი) 6,5; ნინო ბაციაშვილი (ბათუმი) 6,5; შოთა აზალაძე (თბილისი) 6; ივერი ჭილაძე (თბილისი) 6.

**ლევან მაისურაძე**

# ომში დამარცხებულთა გამარჯვებისა იყოს
## ჯოკოვიჩმა იცის, სერბეთში ჩემპიონებს როგორ ხვდებიან



ნოვაკ ჯოკოვიჩი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს — ექვსი თვის წინ აშშ-ს ღია პირველობის ფინალში როჯერ ფედერერთან მარცხისგან მიღებული გაკვეთილი დიდებულად გამოიყენა და ავსტრალიაში თავისი პირველი სლემტიტული მოიგო. ქვემოთ მოცემულ ინტერვიუში სერბი მწვანე კონტინენტზე ზეობას სწორედ დაგროვილი გამოცდილებით ხსნის, გვიხსნის, თუ როგორ და რატომ გამოჩნდა სერბეთში ერთბაშად ამდენი მაღალი დონის ჩოგბურთელი და გვანდობს, თუ როგორ დახვედრას ელის სამშობლოში

**— თავს როგორ გრძნობთ სლემტიტულის მოგების შემდეგ?**

— აღწერაც კი გამიჭირდება. ეს ხომ ისაა, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. თან ეს რაღაც განსაკუთრებულია, რადგანაც თავად ნებისმიერი სლემტურნირია განსაკუთრებული, ორ კვირას გრძელდება და აქ მსოფლიოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი თამაშობს. ასე რომ, ასეთ შეჯიბრზე ჩემპიონობა მართლაც უდიდესი მიღწევაა და მგონი ჯერ ვერც ვაანალიზებ ამას. ერთი კი ნამდვილია — ჩემი თავის მეამაყება. თანაც დღეს ფავორიტის რანგში ვთამაშობდი, რაც ჩემთვის უცხო ხილი იყო, მაგრამ ამ ზეწოლასაც გავუძელი და მაინც მოვიგე.

**— როგორ ფიქრობთ, როჯერის დომინირებას ბოლო მოეღო?**

— არანაირად. მხოლოდ ერთ ტურნირს არ შეუძლია ისტორიის შეცვლა. რა თქმა უნდა, მე ძალიან ძლიერი ტურნირი ვითამაშე და ასე იყო მის წინააღმდეგაც ნახევარფინალში, მაგრამ მან ეს ფაქტი მიიღო, გააცნობიერა და, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მოუმატებს და არაერთ საოცრებას გვანახვებს. მას კვლავაც აქვს საკმარისი მოტივაცია, რომ პირველ ჩოგნად დარჩეს.

**— წაგებასა და მოგებას შორის პატარა ზღვარი გადის. თქვენ ამ ზღვრის ორივე მხარე გამოსცადეთ, თან სლემტურნირების ფინალებში. დღეს რა იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც გამარჯვება მოგიტანათ?**

— ალბათ ის, რომ როჯერთან არ მიწევდა თამაში. ეს ხუმრობით, მაგრამ ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ფინალში ფავორიტის რანგში თამაში ძალიან უცნაური იყო. გადამწყვეტი მატჩის წინ განვაცხადე, რომ აუტსაიდერის პოზიციიდან უფრო ადვილია თამაში. მით უმეტეს ჩოგბურთელთან, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ჟო-ვილფრედმა ეს პირველივე სეტში დაამტკიცა, როცა აშკარად მაჯობა. თუმც მე ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და საკუთარ თამაშზე მომეხდინა კონცენტრაცია. ამაში აშშ-ს ღია პირველობის ფინალში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარა. გადამწყვეტ მომენტებში უფრო ცივი გონებით ვმოქმედებდი და ვფიქრობ, ამან მომაგებინა.

**— მესამე სეტში რამდენიმე სეტპოინტი ვერ გამოიყენეთ. ალბათ ამ დროს ძნელი იყო კონცენტრირება...**

— რა თქმა უნდა. მე ძლიერი მოწოდების მქონე ჩოგბურთელთან ვთამაშობდი და ვიცოდი, რომ ჩემს შანსებს უნდა დაველოდებოდი. თავიდან ის ერთი თავით მჯობდა. თუმც მე ვცდილობდი სტაბილურობის შენარჩუნებას, ვცდილობდი, ისევ მაღალ დონეზე მეთამაშა და საკუთარ თავს ვუმეორებდი, ადრე თუ გვიან შანსი მოგეცემა და უნდა გამოიყენო-მეთქი. ჰოდა, ვფიქრობ, ყველა, მინიმალური შესაძლებლობაც კი 100 პროცენტით გამოვიყენე.

**— პირველ წუთებში აშკარად ნერვიულობდით. თამაშის წინა დღეს ნერვებს როგორ გაუმკლავდით?**

— თამაშის წინ ვცდილობდი, ჩოგბურთი დამევიწყებინა და ფინალზე საერთოდ არ მეფიქრა. ოჯახის წევრებთან ვხუმრობდი, მუსიკას ვუსმენდი, სასაცილო რაღაცეებს ვუყურებდი და მგონი, გამომივიდა. შემდეგ კი კორტზე გავედი თუ არა, ყველაფერი ორ წამში 180 გრადუსით შემობრუნდა. ამის შემდეგ მთვარი მხოლოდ თამაში იყო.

**— ასეთი ზეწოლა აქამდე არასდროს განგიცდიათ?**

— ნამდვილად არა.

**— როგორ აღნიშნავთ გამარჯვებას?**

— არა მგონია, გაინტერესებდეთ.

**— სწორედაც რომ გვაინტერესებს.**

— ამას მაინც საიდუმლოდ შევინახავ. ჩვენებურად აღვნიშნავთ და მაგრადაც მოვილხენთ.

**— ოჯახთან ერთად?**

— რა თქმა უნდა, მათთან ერთად. მიყვარს ხალხში ყოფნა. მარტოობა საჩემო რამ არ არის.

**— იცოდით, რომ ბოლო 10 ჩემპიონიდან 6-მა პირველი სეტი წააგო? და საკუთარ მოწოდებაზე რას იტყვით — დაგეხმარათ ჩემპიონობაში?**

— რაც შეეხება პირველ კითხვას, ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მომავალი ჩემპიონები უფრო ნერვიულობდნენ ფინალის წინ. მოწოდება კი ჩემი თამაშის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ელემენტი იყო. ვფიქრობ, სეზონის დარჩენილ ნაწილშიც ფრიად წამადგება. ამაზე ხანგრძლივად და ძალიან სერიოზულად ვვარჯიშობდი და ამიტომ ბედნიერი ვარ, რომ გამოვასწორე.

**— ფავორიტის რანგში გამოსვლის შემდეგ უფრო და უფრო აფასებთ ფედერერისა და ნადალის მიღწევებს — ბოლო წლებში მათ ხომ ამ პოზიციიდან უწევთ თამაში?**

— უეჭველად. საერთოდ, სლემტურნირის ნებისმიერი გამარჯვებული დასაფასებელი და პატივსაცემია. ნელ-ნელა ვხვდები, რას ნიშნავს მათ ტყავში ყოფნა.

**— თქვით, რომ ხალხთან ურთიერთობა გიყვართ. ალბათ გაგიძნელდათ, ზედიზედ ორი მატჩი ქომაგთა ფავორიტის წინააღმდეგ ბრძოლა...**

— რა თქმა უნდა, ეს ხომ ნიშნავს, რომ დამატებითი წინააღმდეგობა უნდა დაძლიო. თუმც სრულიად გასაგებია, თუ რატომ გულშემატკივრობდნენ ჟო-ვილფრედს — შემტევ სტილში მოთამაშე ახალგაზრდა მოთამაშე, თან განუთესავი, ფინალში გავიდა. მაგრამ მეორეს მხრივ, ჩემს შტაბთან მჯდომი 20-30 კაცი ძალიან გულმხურვალედ მიჭერდა მხარს და მათი გამამხნევებელი შეძახილები ძალიანაც დამეხმარა.

**— თასი თითქოს მძიმე უნდა იყოს. მისი აღმართვა არ გაგიჭირდათ?**

— რას ამბობთ, მაშინ მის წონას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. მხოლოდ თასზე ამოტვიფრულ ჩემპიონთა სახელებს ვუცქერდი და სიამაყით ვფიქრობდი იმაზე, რომ იქ მალე ჩემი სახელიც დაიწერებოდა.

**— არ გსურთ, რომ მთელი წელი მხოლოდ ჰარდზე თამაშობდეთ?**

— ალბათ კი, კარგი გამახსენეთ — მალე ATP-ის ხელმძღვანელებს დაველაპარაკები და მოვთხოვ, ყველა ტურნირი ჰარდზე ჩაატარონ. ხუმრობა იქით იყოს და მაღალი დონის ჩოგბურთელის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი ყველა საფარზე სტაბილურობაა, რაც ბოლო წელიწად-ნახევარში მოვახერხე.

**— რამდენად რეალურად მიგაჩნდათ ბავშვობაში, რომ პატარა, ომით ნახევრად გაჩანაგებული ქვეყნის წარმოამადგენელი ამდენს მიაღწევდით?**

— მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს ოცნება ამისრულდებოდა. მაგრამ ჩემზე მეტად მამაჩემს სჯეროდა ჩემი და ყოველთვის მხარში მედგა. იუნიორთა შორის საკმარისად კარგად გამოვდიოდი, ჩემი ძალების რომ მერწმუნა. თუმც ბევრს არ სჯეროდა, რომ რამეს მივაღწევდი, რადგანაც ჩოგბურთის არცთუ დიდი ტრადიციების ქვეყნის წარმომადგენელი ვიყავი და არც ისე სახარბიელო პირობებში მიწევდა ზრდა და ვარჯიში. თუმც მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩემსას გავიტანდი.

**— ომი თქვენს ოჯახს შეეხო?**

— არ მსურს ამ თემაზე საუბარი...

**— მაინც როგორ მოახერხეთ ასეთ ჩოგბურთელად ჩამოყალიბება?**

— დიახ, მართლაც ბევრს უკვირს, თუ როგორ მოახერხა საჩოგბურთო ტრადიციების არმქონე სერბეთმა ამდენი კარგი ჩოგბურთელის ერთად აღზრდა. ეს მართლაც აუხსნელია, რადგანაც სერბეთში არც საჩოგბურთო სისტემა არსებობს და არც პირობები ახალგაზრდა სპორტსმენების გასაზრდელად. მაგრამ ჩვენ ყოველთვის მხარს გვიჭერდნენ ჩვენი ახლობლები. თანაც ჩვენ წარმატებაზე დამშეულები ვართ და რთულ პირობებში ცხოვრებამ პიროვნულად მხოლოდ გაგვაძლიერა.

**— შარშან „როლან გაროსის" ნახევარფინალში გასვლისთვის თქვენ, ანა ივანოვიჩსა და ელენა იანკოვიჩს ბელგრადში მხურვალე დახვედრა მოგიწყვეს. ახლა რას ელით?**

— არც ვიცი, მაშინ 20 000-მდე კაცი დაგვხვდა და ახლა რა იქნება, წარმოდგენა არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ბავშვობაში არაერთხელ მინახავს, როგორ ხვდებოდნენ ჩვენ სპორტსმენებს, როცა კალათბურთის, წყალბურთის ანაც ფრენბურთის ნაკრები ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა — ისინი მთავრობის სახლის აივანზე გამოეფინებოდნენ და ხალხი ქვემოდან ესალმებოდა. შეიძლება, მეც ასეთი რამ მომიწყონ.



# ქართველების მაქსიმუმი მინიმუმია

**ეს კვირა** ჩოგბურთელ ქალთა კალენდარში ფედერაციის თასის მატჩებისთვისაა განკუთვნილი. ბოლოლა გუნდები, ისინი, ვინც უშუალოდ თასისთვის იბრძვიან, უქმეებზე ითამაშებენ და ნახევარფინალისტების ვინაობას გაარკვევენ.

პირველ ლიგაში რვა საუკეთესო ნაკრებია. ასევე რვა გუნდია მეორე ლიგაში და ამათ შემდეგ ზონალური ჯგუფებია. ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფშია საქართველოს ნაკრებიც, რომელიც შარშან ალზევდა მეორედან პირველ ჯგუფში.

წლეულს ლალი ზერეკიძის გუნდის პროგრამა-მაქსიმუმი ამ დონეზე ადგილის შენარჩუნება იქნება, მაგრამ ამის გაკეთება იოლი არ უნდა იყოს. ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფში 15 ნაკრებია, რომლებიც დღეიდან კვირის ბოლომდე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში იბრძოლებენ — ზოგნი უფრო მაღლა ასასვლელად, ხოლო სხვანი და მათ შორის საქართველოც, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად.

ჩვენი ნაკრების კაპიტნის ლალი ზერეკიძის უმთავრესი პრობლემა ის გახლავთ, რომ ბუდაპეშტში ვერ დაიხმარს მიმდინარე რეიტინგის მიხედვით ექვს საუკეთესო ჩოგბურთელს — მაკა ჩახნაშვილს, ანა ტატიშვილს, სოფო შაფათავას, მანანა შაფაქიძეს, თინა ყავლაშვილსა და სალომე დევიძეს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკლისი, რაღა თქმა უნდა, ჩახნაშვილის არყოფნა იქნება. მაკამ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასა და ნაკრების კაპიტანთან შეთანხმებით, წლეულს უარი თქვა ფედერაციის თასზე თამაშზე და მთელ თავის ყურადღებას რეიტინგში დაწინაურებას დაუთმობს.

ბუდაპეშტში ზერეკიძემ შემდეგი ჩოგბურთელები იახლა: ოქსანა კალაშნიკოვა (604-ე ადგილი WTA-ს რეიტინგში), სოფო ქვაცაბაია (693), ეკა გორგოძე (804) და საქართველოს ჩემპიონი თათია მიქაძე (ურეიტინგო).

უნგრეთში თავმოყრილი ევრო-აფრიკული ზონის პირველი ჯგუფის 15 გუნდი წილისყრის შედეგად ოთხ ჯგუფად დაიყო, რომელთაგან ერთი სამგუნდიანია. გამარჯვებულები პლეი ოფში გავლენ და მეორე ლიგაში ასასვლელად იბრძოლებენ, ხოლო ჯგუფების ოთხი უსუსტესი გუნდი პლეი აუტში გაარკვევს ზონის მეორე ჯგუფში გასაშვები ორი უიღბლოს ვინაობას.

A ჯგუფი: ჰოლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია

B ჯგუფი: შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, დანია, უნგრეთი

C ჯგუფი: ბელარუსი, შვედეთი, სლოვენია, საქართველო

D ჯგუფი: სერბეთი, პოლონეთი, რუმინეთი

ალალად შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ საქართველოს ნაკრები დაინდო, რადგანაც, ვთქვათ, D ჯგუფში რომ მოვხვედრილიყავით, ივანოვიჩ-იანკოვიჩიან სერბეთთან და ბოლო ხანებში სწრაფი ტემპით პროგრესირებად პოლონელებთან არანაირი შანსი არ გვექნებოდა. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბელარუსთა ლიდერი ვიქტორია აზარენკა უკვე ელიტის ახლოს ტრიალებს, შვედი სოფია არვიდსონი ასეულის წევრია და სლოვენიელებს კი კატარინა სრებოტნიკის არყოფნაშიც, უაღრესად თანაბარძალოვანი შემადგენლობა ჰყავთ, დავინახავთ — შანსი იმისა, რომ საქართველოს ნაკრები პლეი აუტს აცდეს, პრაქტიკულად არ არსებობს.



ქვარციტი QUARTZITE

ევროპის ერთა თასი

საქართველო — პორტუგალია

თბილისი. 2 თებერვალი. «ლოკომოტივი». 16 სთ.

# ლეინმა ასისტენტები შეგირდებისგან დაიცვა



**გუშინ** საქართველოს ნაკრებმა ორი თებერვლის პორტუგალიასთან საერთათასო მატჩისთვის მზადება დაიწყო. შინაურ-ლეგიონერებიანად გუნდი დილით სრულად შეიკრიბა, თუმც შეკრებაზე გამოძახებული 30 მორაგბედან მხოლოდ ოცდაშვიდმა ივარჯიშა.

მსოფლიოს თასზე ნათამაშები გიორგი ჩხაიძე საფრანგეთიდან ტრავმირებული ჩამოვიდა და ვარჯიშს მოედნის კიდიდან უყურა. ჩხაიძეს ორდღიანი დასვენება სჭირდება და ხვალიდან ალბათ ვარჯიშსაც დაიწყებს. ნაკრების ახალბედა ყოჩელი ირაკლი გეგენავა და გიორგი ელიზბარაშვილი კი საერთოდ არ გამოჩნდნენ ვარჯიშზე. გეგენავას გამოცდა ჰქონია ჩასაბარებელი, ელიზბარაშვილს კი ოჯახური პრობლემები შეექმნა და ახალ მწვრთნელს ტიმ ლეინს ერთი დღით დაეთხოვა.

ტიმ ლეინმა გუშინ პირველ[...] საქართველოს ნაკრები, ამ [...] ასისტენტები ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე დაეხმარნენ. მერე იხუმრეს კიდეც, მაგრად გავრისკეთ, ამ ბავშვებმა ტალახში გვაგორავეს და ლამის ინფარქტი დაგვმართესო. მორაგბეები კონტაქტში ვარჯიშობდნენ, წინააღმდეგობას ცაბაძე და დიდებულიძე უწევდნენ. ბოჭვისას დიდებულიძე წაიქცა, „ლეონსიომ" მე ვერ დამაგდებთო, თქვა და... ტანმორჩილი ირაკლი აბუსერიძე და მერაბ კვირიკაშვილი ისე შეასკდნენ ყოფილ კაპიტანს, რომ მის წამოდგომას კარგა ხანი დასჭირდა. თანაშემწეებს ტიმ ლეინი გამოექომაგა და ერთ-ერთ მორაგბეზე იმავე ილეთით „იძია შური".

ასე ხალისითა და სიახლეებით ვარჯიში ორ საათში დასრულდა. მერე კი *ტიმ ლეინს* გავესაუბრეთ.

**— დღეს ნაკრები ახლოს გაიცანით. უკეთეს ვითარებას ელოდით თუ უარესს?**

— ერთი დღით ძნელია კონკრეტული რამის თქმა, თანაც ვარჯიშით ვერ შეაფასებ გუნდის რეალურ შესაძლებლობას. ყველაფერი მატჩისას გამოჩნდება, რადგან რეალური წინააღმდეგობას სწორედ იქ გაგვიწევენ. ვარჯიშისას კი წინააღმდეგობა პრაქტიკულად არ არის.

**— მორაგბეთა მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ამ მხრივ ნორმალური ვითარებაა. რამდენიმე მათგანი ელიტარულ ფრანგულ კლუბებში თამაშობს. მათ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. დღეს ერთმა ფაქტმა ჩამაფიქრა. სიახლეები რამდენიმემ კარგად აითვისა, ზოგიერთმა კი ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი, თუმც ესეც დროის ამბავი და იმედია, ყველაფერი უმოკლეს ვადაში გამოსწორდება.

**— პორტუგალიასთან მატჩამდე კი სამი დღე დარჩა...**

— იმედია, იქამდე მოვასწრებთ შეკვრას. ისე დღეს დავინახე, რომ წინ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს. ერთ დღეში ბევრს ვერაფერს მოვასწრებთ. ჩემი მიზანი ახალი, ბრძოლისუნარიანი და გრანდებთან მიახლოვებული გუნდის მშენებლობაა.

**ბაჩო სვანიძე**



# ბოლოს მარამ აუჩქარა

**იაპონიაში** ძალიან უყვართ მარათონულ დისტანციაზე სირბილი და საკუთარი გამძლეობის შემოწმება. თავისთავად, ამომავალი მზის ქვეყნის შვილები აღმოსავლეთ აფრიკელებთან ვერ მივლენ ამ საქმეში, მაგრამ სიამოვნებით დარბიან და კილომეტრს კილომეტრზე ფარავენ.

27 იანვარს ოსაკაში გამართულ ქალთა მარათონში ათეულობით ათასმა იაპონელმა მიიღო მონაწილეობა და თავისთავად ცხადია, ამ ზღვა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიულ სპორტთან საკმაოდ შორს დგას. კენიელ-ეთიოპიელი ქალები დიდი ოდენობით არ ჩასულან იაპონიაში და რომლებიც ჩავიდნენ, ისინიც ნაკლებცნობილი მარათონელები. სამაგიეროდ, იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები და იაპონელმა ქალებმაც თავი ეულად არ იგრძნეს.

ერთადერთი, ვისაც შეიძლება მარტოობა ეგრძნო, ეს იაპონელი მორბენალი კაიოკო ფუკუში იყო, რომელმაც არ ისურვა, სხვების მხარდამხარ სივიწროვეში ჩაკარგულიყო, პირველივე კილომეტრზე წინ გაიჭრა და ასე ეულად ირბინა დისტანციის მოზრდილი ნაწილი. ჩანს, ფავორიტებმა მასში კონკურენტი ვერ დაინახეს, უპრობლემოდ გაუშვეს წინ და თავიანთი ტემპი დაიჭირეს. ფუკუში მიქროდა და ერთი ხანობა წუთზე მეტსაც უგებდა ყველა დანარჩენს, მაგრამ მას არასდროს არაფერი მოუგია და ეს ვერც ახლა შეძლო, მით უმეტეს, მარტოსულმა. სხვა გოგონებმა ერთი კილომეტრის გარბენის შემდეგ ჩამოაყალიბეს 18-სულიანი მოლიდერე ჯგუფი და ასე ერთად სდიეს ფუკუშის. ამ უკანასკნელმა ლიდერობა 33 კილომეტრი შეინარჩუნა, მერე კი ისე დაიღალა და მოწყდა, რომ საბოლოოდ ათეულშიც ვერ მოხვდა.

გამარჯვება კი იაპონური გვარის და იერის ბრიტანელ მარა იამაუჩის შეხვდა, ვინც 35-ე კილომეტრიდან იგდო ლიდერობა და მანამდე მოწინავეთა ჯგუფში აბსოლუტურად უპრეტენზიოდ გაყუჩებულმა ისეთი ტემპი განავითარა, ქალებს კი არა, კაცთა რეკორდსმენ ჰაილე გებრსელასიეს მოაწურინებდა ოფლს. იამაუჩიმ ერთი მეორის მიყოლებით ჩამოიტოვა ბეჯითი იაპონელი ქალები და ფინიში სტარტიდან 2 საათში, 25 წუთსა და 10 წამში გადაკვეთა. ეს მისი პირადი რეკორდია და 3 წამით უკეთესია 2006 წელს ლონდონის მარათონზე ნაჩვენებ შედეგზე.




მეორე ადგილი შეხვდა იაპონელ ტომო მორიმოტოს (2:25.34). არც აფრიკელ ამორბალთა მცირერიცხოვანი რაზმი დარჩა მთლად უმედლოდ. ოსაკაში ბრინჯაო იშოვა კენიელმა ჯელია მომბიმ (2:26.00).

**კოტე ყორშია**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# მაკლარენული სიტუაცია



ჰეიკი კოვალაინენი ლუის ჰემილტონს არ უფრთხის

**საპირველფორმულო** სეზონის დაწყებამდე თვენახევარზე მეტია დარჩენილი, თუმც სპეკულაციები და ჭორები იმის თაობაზე, თუ რა ვითარება იქნება „მაკლარენის" საჯინიბოში, წამითაც არ წყდება.

შეგახსენებთ, რომ შარშან რონ დენისის გუნდში სიტუაცია საკმაოდ არეული იყო — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, „რენოდან" გადმოსული ფერნანდო ალონსო და ახალბედა ლუის ჰემილტონი აშკარად ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს, თანაც, მთელი რიგი კონფლიქტური მომენტებისას გუნდის ხელმძღვანელობამ ინგლისელის მხარე დაიჭირა და ბევრწილად, სწორედ ამან განაპირობა, რომ მაკლარენელებს სეზონის ბოლოს საჩემპიონო ტიტული ფერარელმა კიმი რაიკონენმა ცხვირებსწინ ააცალა.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ალონსო „რენოში" დაბრუნდა და მის ნაცვლად ფრანგული გუნდიდან ინგლისურში ფინელი ჰეიკი კოვალაინენი გადაბარგდა. დენისი ამბობს, რომ მისი გუნდის ორივე პილოტი აბსოლუტურად ერთნაირ სიტუაციაში იქნება.

„ჩვენ ყოველთვის ერთნაირად ვეპყრობოდით ჩვენს მრბოლებს და ასეც გავაგრძელებთ. ლუისი და ჰეიკი ასეთი პოლიტიკით კმაყოფილნი არიან და არა მგონია, მათ შორის პრობლემები წარმოიშვას — განაცხადა „მაკების" შეფმა და დაამატა — მე მსურს, რომ ორივენი კონკურენტუნარიანები იყვნენ. ჰეიკი უკვე შეეჩვია გუნდს, გაეცნო ქარხანას და გვჯერა, რომ ახალ სეზონში ის გამარჯვებების მოპოვებას შეძლებს".

ოპტიმისტურადაა განწყობილი თავად ფინელი მრბოლიც და ამბობს, რომ ძალუძს ჰემილტონისთვის კონკურენციის გაწევა და საჩემპიონო ბრძოლაში ჩაბმა.

„შარშანდელმა სეზონმა ბევრი რამ მასწავლა. მივხვდი, თუ რატომ არ ვიყავი სწრაფი. ჩემი მიზანი ჩემპიონობაა და დარწმუნებული ვარ, ლუისის ჯობნა შემიძლია. გუნდი ორივე პილოტისთვის ერთნაირ მანქანებს ამზადებს. ესე იგი, შანსი მეც მექნება, უბრალოდ, საჭიროა მისი გამოყენება. შარშან ჰემილტონმა პრაქტიკულად მოიგო ტიტული. ის უაღრესად პოპულარული გახდა. იგივე გზა მეც უნდა გავიარო. თუ წლეულს, ანდა გაისად ჩემპიონი გავხდები, ჩემი პოპულარობაც გაიზრდება" — განაცხადა ტიტულსა და სახელს დანატრებულმა ფინელმა.

ჰემილტონი კი გუნდს გარეთ უფრო იყურება, კონკურენტებს სხვა საჯინიბოებში ეძებს და ისეთი პირი უჩანს, კოვალაინენს მეტოქედ არ თვლის. „ფერარის" ორივე მრბოლი და სავარაუდოდ, „BMW-ზაუბერის" წარმომადგენელი. აი, ესენი იქნებიან მთავარი მეტოქეები და ალონსოც, თუ ახალი „რენო" ნამდვილად კონკურენტუნარიანი მანქანა იქნება" — ბრძანა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, როდესაც შესაძლო მეტოქეებზე ჰკითხეს და როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში კოვალაინენი ნახსენები არ არის.

**ბაჩა ლომაძე**

# მონტოიას მეორე დაიტონა

**„დაიტონას 24 საათი"** ამერიკის შეერთებულ შტატებში საკულტო რბოლაა. ამერიკელებს ნაკლებად აღელვებთ ფორმულა 1-ის, თუ რალის მსოფლიოს ჩემპიონატები და არც „დაკარის" მსგავს რალი-რეიდებზე გიჟდებიან. მათი მზე და მთვარე ოვალურ ავტოდრომებზე ამოდის, რომლებზეც NASCAR-ის ჩემპიონატი ტარდება და ამ ჩემპიონატის მარგალიტი კი სწორედ დაიტონას 24-საათიანი მარათონია, ფრანგული ლემანის 24-საათიანი რბოლის ერთგვარი ანალოგი, ოღონდაც ოვალურ გზაზე.

მორიგი „დაიტონა" კვირას ჩატარდა და ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ლეგენდარული რბოლა ერთმა გუნდმა ზედიზედ მესამედ მოიგო. ლაპარაკია მულტიმილიონერ ჩიპ გენასის გუნდზე, რომელიც ამჯერად „ლექსუსის" ძრავით აღჭურვილ RILEY-ს პროტოტიპით გამოდიოდა.

გენასის გუნდის ღირსებას სკოტ პრიუეტი, ხუან პაბლო მონტოია, დარიო ფრანკიტი და მემო როხასი იცავდნენ. ამათგან ჩვენს ყურადღებას, ბუნებრივია, ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი მონტოია იქცევს.

საპირველფორმულო გზებზე მონტოიამ 95 დიდ პრიზში მიიღო მონაწილეობა და 7 გამარჯვება მოიპოვა. უფრო ადრე, 2000 წელს, კოლუმბიელმა კიდევ ერთი ლეგენდარული ამერიკული რბოლა, „ინდიანაპოლისის 500 მილი" მოიგო, ამჟამად „ჩემპ კარად" წოდებული „კარტის" სერიის გამარჯვებულიც გახდა და ამის შემდეგ ევროპაში გადმობარგდა, რათა ამერიკის დამპყრობს ფორმულა 1-შიც დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე.

მონტოიამ ვერ გათვალა — ეს ის დრო იყო, როდესაც სამეფო რბოლები და დიდი პრიზები ერთი კაცის, მიხაელ შუმახერის პირად საქმედ იყო ქცეული. კოლუმბიელმა დიად გერმანელს კონკურენცია ვერ გაუწია, უკანა რიგებში ყოფნა კი არ ისურვა და ისევ ამერიკას მიაშურა, ოღონდაც, ამ ჯერზე „ნასკარი" ამჯობინა. მონტოიას შარშანდელი დებიუტი შესანიშნავი გამოდგა. კოლუმბიელმა ჩიპ გენისის გუნდის სახელით პირველივე წელს „დაიტონა" მოიგო და სეზონის საუკეთესო ახალბედად აღიარეს.



ხუანმა აგერ, მეორე სეზონი დაიწყო „ნასკარში" და მორიგი ტრიუმფიც გადიხადა — „დაიტონას" ლეგენდარული რბოლის ორჯერ ზედიზედ მოგება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

**ბაჩა ლომაძე**



# ალფრედსონის კვირა

**გასული** კვირა ვარსკვლავური უიკენდის გამო შემცირებული იყო და ჰოკეისტებმაც ძირითადად ორი-სამი თამაშის ჩატარება მოასწრეს, მაგრამ ნჰლ-მა კვირის საუკეთესო მოთამაშეები მაინც დაასახელა.



პირველი ვარსკვლავობა „ოტავას" კაპიტან დანიელ ალფრედსონს ერგო, რომელმაც ტრავმის გამო მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, მაგრამ ამ შეხვედრაში, „ტამპასთან" ერთბაშად 7 (3+4) ქულა მოიხვეჭა, რაც სხვებმა დანარჩენი კვირის განმავლობაში ვერ შეძლეს.

ბოლოს ერთ მატჩში 7 ქულა იარომირ იაგრის ანგარიშზე იყო, რომელმაც თავი 2003 წელს „ფლორიდასთან" გამოიჩინა. გასვლაზე კი ბოლოს 7 ქულა ერიკ ლიდნროსმა დააგროვა 1997 წელს.

ალფრედსონმა სეზონში უკვე 67 ქულას (32+45) მოუყარა თავი, ერთი ქულით გადაასწრო „ტამპელ" ვენსან ლეკავლიეს და ბომბარდირთა სიას სათავეში მოექცა.

მეორე ვარსკვლავად „ვაშინგტონის" რუსი ლიდერი ალექსანდერ ოვეჩკინი დასახელდა, რომელმაც 6 ქულა (3+3) მოიხვეჭა და თავის გუნდს სამიდან ორი მატჩი მოაგებინა.

მესამე ვარსკვლავობა „კოლუმბუსის" კიპერ პასკალ ლეკლერს ერგო, რომელმაც წინა კვირას ორივე შეხვედრა მოიგო. ამ მატჩებში ლეკლერმა მხოლოდ ორი გოლი გაუშვა და 63 დარტყმიდან 61 მოიგერია, „ჩიკაგოსთან" კი სულაც მშრალად შეინახა კარი და სეზონში შათაუტების რაოდენობა 8-მდე აიყვანა.

# სელიანეს მეორედ მოსვლა

**მოქმედი** ჩემპიონი „ანაჰაიმი" დამდეგ პლეი-ოფშიც სტენლის თასის მოგების ერთ-ერთი ურეალურესი პრეტენდენტი იქნება.



არადა, ივნისის ტრიუმფის შემდეგ გუნდი კაპიტანმა სკოტ ნიდერმაიერმა და უმთავრესმა სნაიპერმა ტეემუ სელიანემ დატოვეს და კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადეს. გუნდის გენერალური მენეჯერი ბრაიან ბურკი დაფაცურდა და მათი შემცვლელები „დეტროიტში" მოძებნა — მეტ შნაიდერი და ტოდ ბერტუცი. თუმც გუნდმა მიმდინარე სეზონი მაინც ძალიან მძიმედ დაიწყო და კარგა ხანს საპლეიოფო ზონის მიღმაც იყო.

„იხვების" საქმეები ნიდერმაიერის ყინულზე დაბრუნების შემდეგ გამოსწორდა და გუნდმა ბოლო 15 მატჩიდან 12-ში იმარჯვა, რითაც კონფერენციაში უკვე მეოთხე ადგილამდე აღზევდა. ახლა კი სელიანეც ბრუნდება და „ანაჰაიმის" საქმეები უფრო უკეთ უნდა წავიდეს.

სელიანემ, რომელმაც შარშან რეგულარულ ჩემპიონატში 45 შაიბა გაიტანა ლიგაში (მესამე შედეგი) და 48 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, უკვე ვარჯიშიც დაიწყო და „იხვებს" 15 დღიან ტურნეშიც გაჰყვება, რომლის დროსაც გუნდი 8 მატჩს გამართავს.

ერთი-ორი სიტყვა თავად 37 წლის სელიანზეც ვთქვათ, რომელიც ნჰლ-ში ბოლო დეკადის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ. ტეემუმ კარიერა „ვინიპეგში" დაიწყო, სადაც თავისი სადებიუტო და ყველაზე შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა — „ფინურმა ელვამ" პირველსავე წელს 76 შაიბა შეაგდო (დღესაც რეკორდია ახალბედებისთვის) და 132 ქულა დააგროვა. მას შემდეგ, რაც „ვინიპეგმა" დისლოკაცია შეიცვალა და 1996 წელს ფინიქსში გადაბარგდა, სელიანე „ანაჰაიმში" გადავიდა და აქ კარიერის უდიდესი ნაწილიც გაატარა. ტეემუ 2000-2003 წლებში „სან ხოსეში" თამაშობდა, შემდეგ ერთი წელი „კოლორადოში" გაატარა და ლოკაუტის შემდეგ ისევ „ანაჰაიმში" დაბრუნდა, სადაც შარშან თავისი ჯერჯერობით ერთადერთი სტენლის თასი მოიგო, რაშიც დიდი წვლილიც შეიტანა — დასვლეთ კონფერენციის ფინალში „დეტროიტი" სწორედ მისმა შაიბამ გატეხა, როცა მეხუთე მატჩის ოვერტაიმში იყოჩაღა და „იხვებს" ყველაზე ძნელი ბარიერის გადალახვაში დაეხმარა.

**ბაჩა ლოამშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge